ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 24 ივლისი, 2018 №173 (7718) ფასი: 60 თეთრი

მიხეილ შაყულაშვილი: „მირზა სუბელიანმა მითხრა, რომ მკვლელობა 51-ე სკოლასთან მისი შვილისა და შვილის მეგობრის ჩაგვრის გამო მოხდა“

გვ.7

10 ივლისიდან

მაკა სეფაშვილი

დანაშაული აღარ მოხდება

ქართული დეტექტივი ტომი 8

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

დაპირისპირება „ქართულ ოცნებაში“

გვ.2

ლევან კობერიძე: „დავით ჭიჭინაძის პარტიიდან გარიცხვის ფორმა მიუღებელია“

„მარგველაშვილმა და კვირიკაშვილმა ალიანსი შექმნეს“

გვ.3

ჯელალ ქიქავა: „პრეზიდენტი „ოცნებას“ გაურიგდა – ყოფილ პრემიერს მილიარდი უნდა შეარჩინონ“

ნანა დევდარიანი: „ივანიშვილი, შესაძლოა, პრეზიდენტად დაბრუნდეს“

გვ.4

გვ.2

ნიკა მელია: „ოპოზიციის კანდიდატის გამარჯვება ქვეყანას სჭირდება“

გვ.5

მანუჩარ მაჩაიძე: „ნაციონალები, „ევროპული საქართველო“, უსუფაშვილი და მარგველაშვილი ევროპული ღირებულებების წინააღმდეგ გამოდიან“

„ქართული ოცნების“ შიგნით უთანხმოებას განსხვავებული მსოფლმხედველობაც იწვევს“

სამართალი გვ.7



ფოთში მამაკაცი, რომელიც სწრაფი ჩარიცხვის აპარატს ქურდავდა, პოლიციელმა მოკლა

ადვოკატი: „მამაკაცმა პოლიციელს თავში ჩაქუჩი ჩაარტყა და მან ამიტომ ესროლა“

გიორგი გაბოძე: „ძალიან ცუდ მდგომარეობაში გამოვდივარ, თითქოს მიხეილ კალანდიას ვიცავ. მისი დაცვის არანაირი სურვილი არ მაქვს“

თბილისი-რუსთავის ტრასაზე სამარშრუტო ტაქსი ხიდის ჯებირს შეეჯახა

ეკონომიკა გვ.6

თემურ ჭყონია: „მიუღებელია თანხები, რომლებიც „ორი ნაბიჯის“ ხელმძღვანელობამ დაგვიწესა“

საქართველოს სამეზობლოში ერთ-ერთი „ძვირი“ მთავრობა ჰყავს

ISSN 1987-9385

4 დავით ლილუაშვილი: „მარგველაშვილის პოზიცია და განცხადებები გამაოგნებელია“

2 სტეფანწმინდაში რუსეთის მოქალაქეს მეხი დაეცა

5 რა ფუნქცია აქვთ TIR პარკებს და როგორ რეგულირდება მათი საქმიანობა

6 აკაკი ზოიძე: „ახალმა საპენსიო რეფორმამ, შესაძლოა, მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვიოს, თუმცა შედეგი მდგომარეობას დააბალანსებს“

ნიკა მელია: „ოპოზიციის კანდიდატის გამარჯვება ქვეყანას სჭირდება“

ნათია ხურცილავა

ნაციონალური მოძრაობის ლიდერი, პარლამენტის დეპუტატი **ნიკა მელია**, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ნიკა, კახა კალაძემ საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით თქვა, რომ ღირსეული კანდიდატი განიხილება, რომელიც პირველივე ტურში გაიმარჯვებს. ძლიერ კანდიდატს ელოდებით?

– „ქართული ოცნების“ რიგებში ტრაგიკომიკური ვითარება სუფევს. ფაქტია, რომ სახელისუფლებო პარტიას კანდიდატი არ ჰყავს. არჩევნებამდე სამ თვეზე ნაკლებია დარჩენილი, მაგრამ მათ კანდიდატი ჯერ კიდევ არ ჰყავთ და როგორ შეიძლება, საერთოდ ძლიერ კანდიდატზე იყოს საუბარი.

– თუ ბიძინა ივანიშვილი იქნება კანდიდატი, თუ ის დატოვებს საფრანგეთის მოქალაქეობას, ამ შემთხვევაში ეს რას შეცვლის თქვენთვის?

– „ქართული ოცნებისთვის“ მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება კანდიდატი, რადგან ეს მთავრობა გაბანკროტებულია თავიდან ბოლომდე. რაზე დგას „ქართული ოცნება“ – არანაირ იდეოლოგიაზე, არანაირ ერთობაზე, არანაირ სიმყარეზე არ დგას. ისინი შეკონიწებული არიან. თუ როდის ჩამოინგრევა ეს მყიფე ერთობა და როდის წავენ თავ-თავიანთ სახლებში, ეს არის საზოგადოების უმრავლესობის გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული.

– ივანი შვილზე გკითხეთ.

– ვერ გეტყვით, გადაწყვეტს თუ არა ბიძინა ივანიშვილი, კენჭი იყაროს, მაგრამ ეს მაინც არაფერს ცვლის ოპოზიციისთვის. პირიქით, მე ვფიქრობ, რომ არჩევანის გაკეთება კიდევ უფრო ნათელი გახდება და ამომრჩეველს კიდევ უფრო გაუადვილდება არჩევანი.

– რატომ?

– მილიარდერმა ადამიანებს დაპირებები მისცა და ადამიანებმაც სწორედ მისი ირწმუნეს, რა გგონიათ, კიდევ ირწმუნებენ და კიდევ დაუჯერებენ ეს ადამიანები ივანიშვილს?! ივანიშვილის დაპირებებს აღარ ჩამოვთვლი. საკმარისია საწვავის გაიაფება, კომუნალური გადასახადების განახევრება და პენსიის გაზრდის დაპირება, რომელიც აღმოჩნდა, უბრალოდ, ტყუილი.

სრულიად საპირისპირო მოხდა, არათუ გაიაფდა, ყველა კომუნალური გადასახადი გაიზარდა, ლარი გაუფასურდა და პენსია არ გაიზარდა. ამ ფონზე 6 წლის თავზე ეს ადამიანი გამოვიდეს და ხალხს უთხრას, პრეზიდენტობა მინდაო, ეს იქნება მისი ბოლო მინორული აკორდი. ეს იქნება მისი ფიასკო, მისი მოღვაწეობის დამამთავრებელი ბოლო ნოტი. დარწმუნებული ვარ, რომ ბიძინა ივანიშვილის წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა ნათელი კონტრასტი იქნება იმის საილუსტრაციოდ, თუ რას ვირჩევთ: ტყუილს თუ განვითარებასა და პროგრესს.

– სალომე ზურაბიშვილი თუ გახდა კანდიდატი?

– მე ვარ მთაწმინდელი, მთაწმინდაზე ვცხოვრობ, სწორედ ამ რაიონიდან გახდა ქალბატონი სალომე პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი. რა გააკეთა მან მთაწმინდელებისთვის, რომ ახლა ქვეყნის პრეზიდენტად იქნეს არჩეული?! ასეთი კადნიერება, რომ საკუთარი კანდიდატურა დააყენოს საპრეზიდენტო არჩევნებში, სიმართლე გითხრათ, მიკვირს.

ამ არჩევნებზე მთავარი, რაც უნდა მოხდეს, არის ის, რომ ოპოზიციურმა კანდიდატმა უნდა გაიმარჯვოს. ხელისუფლების ცვლილების მოლოდინი რომ არის ქვეყანაში, ეს არის უდავო. ეს არის გაერთიანებული ძალებით შესაძლებელი. 11 ოპოზიციური პარტია გაერთიანდა, ოქტომბრამდე გაერთიანებულ ოპოზიციას კიდევ ბევრი შემოემატება და ამას საზოგადოება ნახავს. საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს შორის უნდა დასრულდეს დაპირისპირება, რაც ძალიან კარგად შეუძლია გრიგოლ ვაშაძეს.

– მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის პრეზიდენტი არ იქნება და ყველას პრეზიდენტი იქნება, ამის თქმა გინდათ?

– თქვენ იმთავითვე ცდებით, რადგან გრიგოლ ვაშაძე არ არის მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი. ის არის 11 ოპოზიციური პარტიის კანდიდატი. ის გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატია.

– თუმცა, ამ პარტიების ნაციონალურ მოძრაობასთან იდენტიფიცირება ხდება.

– ცდებით. მე რომ 2014 წელს კენჭს ვიყრიდი თბილისის მერის პოსტზე და დავით ნარმანია იყო ჩემი ოპონენტი, არც ერთი ეს პოლიტიკური სუბიექტი მე მხარს არ მიჭერდა. არათუ მხარს არ მიჭერდნენ, ჩემი პოლიტიკური ოპონენტები იყვნენ. მაშინ ამ ოპოზიციურ გაერთიანებას ჩემთვის ზურგი რომ გაემაგრებინა, ნარმანიასთან ორთაბრძოლაში გაცილებით სხვა შედეგს დავდებდი. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, თუმცა, მაშინ ასეთი ერთობა არ არსებობდა.

არც 2016 წელს, როდესაც ზაალ უდუმაშვილი იყრიდა კენჭს, ეს პარტიები ნაციონალურ მოძრაობას არ უჭერდნენ მხარს, პირიქით, კონკურენტები იყვნენ. რამდენიმე მათგანი ძალიან მწვავე კონკურენტიც კი იყო. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ადამიანები რომ ყოფილიყვნენ ზაალ უდუმაშვილის მხარდამჭერები და რომ ყოფილიყო ეს გაერთიანება, მეორე ტური აუცილებლად იქნებოდა.

ქვეყანაში, სადაც კრიმინალი მძვინვარებს, სადაც პენსია არ იზრდება, სადაც კორუფცია ხრავს მთავრობის შემადგენლობას, აუცილებელია, რაღაც გარდატეხა მოხდეს. ეს გარდატეხა კი ოპოზიციური პრეზიდენტის მოსვლა იქნება. ძალიან მიამიტურია იმის დაჯერება ხელისუფლების მხრიდან, რომ ამ ყველაფერს ხალხი ვერ ამჩნევს და ისინი მაინც გაიმარჯვებენ, მიუხედავად იმ დახვავებული პრობლემებისა, რომლებიც საქართველოს თითოეული მოქალაქის ოჯახშია.

– პრეზიდენტს ბერკეტი რომ არ აქვს?

– რაც შეეხება ბერკეტს, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ოპოზიციურმა კანდიდატმა მოიგოს. ამით ჩვენ გარდატეხის შეტანა უნდა შევძლოთ. ამ მოგებით ბევრი რამე იქნება შესაძლებელი. ეს ნიშნავს, რომ სახელისუფლებო ძალას, აღმასრულებელ ხელისუფლებას თავიდან ბოლომდე აცლი ლეგიტიმაციას. ამ შემთხვევაში, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა გარდაუვალი იქნება. ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე კი მთლიანად შეიცვლება არაფრის მაქნისი ხელისუფლება. თავად „ქართული ოცნების“ დეპუტატები ბოლო ერთი წლის განმავლობაში საუბრობენ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე.

– ვინც ამაზე საუბრობდა, ის პარტიიდან გარიცხეს.

– გასაგებია, მაგრამ ეს განწყობა არის. შეიძლება, ვიღაცები ასე ღიად ვერ საუბრობენ, მაგრამ ეს განწყობა მათ რიგებში არის. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება, პარლამენტის წევრები პარალელურ სამყაროში ცხოვრობენ. ისინი ცხოვროებენ იმ სამყაროში, სადაც მაღალი ხელფასებია, სადაც რესტორნებში ათასებს ხარჯავენ, სადაც მივლინებებში დადიან, სადაც მდიდრდებიან, აგარაკებს იშენებენ და არსებობს მეორე სამყარო, რეალური სამყარო, სადაც დანარჩენი საქართველო ცხოვრობს, სადაც ადამიანებს, უბრალოდ, შიათ, საჭმლის ფული არ აქვთ, წამლის ფული არ აქვთ და თვიდან თვემდე ღარიბდებიან.

თუ ეს ასე არ არის, ამ შემთხვევაში ვინ ტყუის – ხელისუფლება, რომელიც ამბობს, რომ ეკონომიკა ვითარდება თუ მე, ოპოზიციის წარმომადგენელი, ამის განსჯა ხალხისთვის მიმინდვია.

სტეფანწმინდაში რუსეთის მოქალაქეს მეხი დაეცა

ვლადისლავ პოპოვი გადარჩა და კლინიკაში მკურნალობს

სტეფანწმინდაში რუსეთის მოქალაქეს, 1969 წელს დაბადებულ მამაკაცს, მეხი დაეცა. ეს მყინვარწვერზე, ზღვის დონიდან 4.300 მეტრზე მოხდა.

დაშავებულის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სამაშველო ვერტმფრენმა რუსი ტურისტის კლინიკაში გადმოყვანა ვერ შეძლო, რის გამოც ევაკუაცია კერძო საფრენი აპარატით განხორციელდა.

ვლადისლავ პოპოვი მომხდარს „კურიერთან“ საუბრისას იხსენებს.

– 7-8 კაცი ვიყავით რუსეთიდან, ავდიოდით მწვერვალზე, ორი უკვე ასული იყო და დანარჩენები ჯერ ქვემოთ ვიყავით, 10 მეტრი მაშორებდა, მაგრამ რა მოხდა, არ მახსოვს, როდესაც ჩამომიყვანეს სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ვიყავი, გავჩერდით 400 მეტრის სიმაღლეზე ბანაკში, არ შემეძლო სიარული და ორგანიზმიც გადაციებული მქონდა. ღამე კარავში დავრჩით, ვერტმფრენი მხოლოდ მეორე დღეს ჩამოფრინდა, ახლა უკეთ ვარ, მაგრამ ფეხზე ვერ ვდგები და წონასწორობის შენარჩუნებაც მიჭირს, ექიმები მეუბნებიან, რომ გამიმართლა, რადგან მეხის დაცემით ადამიანი კვდება, – აცხადებს ტურისტი.

დაპირისპირება „ქართულ ოცნებაში“

ლევან კობერიძე: „დავით ჭიჭინაძის პარტიიდან გარიცხვის ფორმა მიუღებელია“

შორენა მარსაგიშვილი

„ქართულ ოცნებაში“ ისევ დაძაბულობაა. მმართველი პარტიის კულუარებში უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ დავით ჭიჭინაძის პარტიიდან გარიცხვა ასე მარტივად არ ჩაივლის. მეოცნებე დეპუტატების ნაწილი ამ გადაწყვეტილებით ძალიან აღშფოთებულია.

მათ დავით ჭიჭინაძის გარიცხვაზე მეტად ის ადარდებთ, რომ ირაკლი კობახიძემ და მისმა გარემოცვამ პარლამენტზე სრული კონტროლი დაამყარეს.

პარტიიდან მეამბოხე დეპუტატის გარიცხვაზე „ოცნებაში“ კომენტარებს ერიდებიან. ყველა ბიძინა ივანიშვილის პოზიციას ელოდება. პირველმა მეოცნებემ თუ ეს გარიცხვა დაიწუნა, ადვილი წარმოსადგენია, რა ცეცხლი დაატყდება კობახიძის ფრთას.

ივანიშვილის განცხადებამდე დაფიქსირა თავისი პოზიცია უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან კობერიძემ.

გლდანის მაჟორიტარი დეპუტატი ამბობს, რომ პარტიიდან ჭიჭინაძის გარიცხვის ფორმა მისთვის მიუღებელია.

– ჩემთვის სამდივნოს წესები გასაგებია, რომ მინიჭებული აქვთ საკითხის ასე დაყენების უფლება, თუმცა ჩემთვის მისაღები არ არის. მისაღებია, რომ პარტიის შიგნით ხდებოდეს მსჯელობა. თუკი რამე პრეტენზია იყო მასთან დაკავშირებით, უნდა ყოფილიყო გასაუბრება და აეხსნათ მისთვის ამ პრეტენზიების შესახებ. ასეთი ფორმა მიუღებელია, – აღნიშნა ლევან კობერიძემ.

ჭიჭინაძის გარიცხვის ფაქტი უფრო ადრე დაგმო გედევან ფოფხაძემ, მაგრამ მან უკან დაიხია და პარტიას ბოდიშიც მოუხადა.

„ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ ფოფხაძე პარტიას აუცილებლად დატოვებს.

– „ოცნებაში“ შეიძლება დარჩეს, გაიჩნია, რას ეტყვის ივანიშვილი, მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობიდან აუცილებლად წამოვა. უმრავლესობის დატოვების სურვილი უკვე ბევრს აქვს. დეპუტატების ნაწილს აღარ უნდა, რომ კობახიძისა და მდინარაძის ნების აღმსრულებლები იყვნენ, – ამბობს ჩვენი წყარო.

გავრცელებული ინფორმაციით, საპარლამენტო უმრავლესობის დატოვებას მინიმუმ ორი ფრაქცია აპირებს. საუბარია ბიძინა გეგიძისა და სოციალ-დემოკრატების ფრაქციაზე.

როგორც ჩვენი წყარო ამბობს, სოციალ-დემოკრატები შესაძლოა „ქართული ოცნებიდან“ საერთოდ გავიდნენ და საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა. როგორც ჩვენი წყარო ამბობს, ამაზე მათ ივანიშვილისგანაც აქვთ კურთხევა.

ამ ორი ფრაქციის გარდა, უმრავლესობა შესაძლოა მილიონერმა დეპუტატებმაც დატოვონ. კოლეგების ნაწილის მსგავსად, მათაც არ სიამოვნებთ კობახიძის დიქტატის ატანა და ამაზე უკვე საუბრობენ.

უქმად არც დავით ჭიჭინაძე იქნება. მან არაერთხელ ისაუბრა პარლამენტის თავმჯდომარის იმპიჩმენტზე და, არ არის გამორიცხული, ამ მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყოს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მარგველაშვილმა და კვირიკაშვილმა ალიანსი შექმნეს“

ჯელალ ქიქავა: „პრეზიდენტი „ოცნებას“ გაურიგდა – ყოფილ პრემიერს მილიარდი უნდა შეარჩინონ“

შორენა მარსაგიშვილი

რას გეტყვით, იცით? ოჯახში ქალი რომ გაბოზდება, მაგი კაცის ბრალია და არ შემეკამათოთ. მთავრობის მეთაური იყო კვირიკაშვილი და, მინისტრი თუ გაუფუჭდა, თავად ყოფილა თავში. ჰოდა, თავში რომ იყო, მაგიტომაც მოატანინებენ ამ ფულს უკან.

რა გეგმები აქვს პრეზიდენტს, რა განწყობით ხვდება აჭარის მოსახლეობა ახალი მეჩეთის აშენების იდეას, რა კატეგორიის ტურისტები ჩამოდიან საქართველოში, რას უნდა ველოდოთ ივანიშვილისგან? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანობა და დემოკრატიის პრინციპების“ ხელმძღვანელი **ჯელალ ქიქავა** ესაუბრება.

– ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ინფორმაციით, დეკემბერში ბიძინა ივანიშვილი ვლადიმერ პუტინთან შეხვედრას აპირებს. თქვენი აზრით, შესაძლებელია მათი შეხვედრა?

– რატომ არის შეუძლებელი? თქვენ როგორ გგონიათ, აქამდე არ შეხვედრიან ისინი ერთმანეთს? ივანიშვილი პუტინის კაცი და მისი დავალებების შემსრულებელია. საოცრება ის იქნებოდა, მათ შორის შეხვედრა არ გამართულიყო.

– თქვენი აზრით, რა თემაზე სასაუბროდ შეხვდებიან ისინი ერთმანეთს?

– სიკვდილსა და ჯანდაბაზე ისაუბრებენ.

– სიკვდილსა და ჯანდაბაში რას გულისხმობთ?

– იმას, რომ ეგენი კარგ თემაზე არ ილაპარაკებენ. დაავალებს რამე საშინელებას პუტინი თავის მონას და ესეც შეასრულებს. მაგათი მიზანი საქართველოს დაქცევაა და შეეცდებიან, ეს ამოცანა სისრულეში მოიყვანონ.

– საქართველოს დაქცევა უნდათო, ამბობთ. წინა ინტერვიუში გვითხარით, რომ ქვეყანა უკვე დაქცეულია და რაღა უნდა დააქციონ?

– ბოლომდე უნდათ ქვეყნისთვის სულის ამოხდა. ჩვენი სახელმწიფო ჯერ კიდევ სუნთქავს და ამას ვერ ეგუებიან. ისე დაგვაქცევენ, რაფერც რუსეთია დაქცეული.

– რით გამოიხატება რუსეთის დაქცევა?

– ხალხი გამორბის იქიდან და საქართველოში ყიდულობენ ბინებს.

– რუსეთში მცხოვრებ ქართველებზეა საუბარი?

– არა, რუსებზე. აჭარის რეგიონში და განსაკუთრებით ბათუმში ბინებს სულ რუსები ყიდულობენ. ადრეც გითხარით, რომ ბათუმში ყოველ მეოთხე სახლში რუსეთის აგენტები ცხოვრობენ. ფაქტობრივად, შემოსეულები არიან.

– ჩვენმა ხელისუფლებამ აქამდე ვერ დაადგინა, რომ ბათუმს რუსეთის აგენტები შეესივნენ?

– დადგენა რად უნდათ? მაგათი ნებართვითა და ხელდასმით ჩამოვიდნენ რუსები საქართველოში.

– რუს აგენტებს შევეშვათ და ივანიშვილს დავუბრუნდეთ. დღეს, 24 ივლისს, მისი ინტერვიუ უნდა გავიდეს. პოლიტიკაში მეორედ მოსვლის შემდეგ მას საჯარო განცხადებები არ გაუკეთებია. საზოგადოება ელოდება, რომ ის რაღაც მნიშვნელოვანს იტყვის. თქვენ ელოდებით რამეს?

– როგორ არ ველოდები. მოუთმენლად ველოდები, რა სახის ზღაპრებს მოყვება ახლა. ეს კაცი სიმართლეს არასდროს ამბობს. ახლა რასაც იტყვის, ისიც ტყუილი იქნება. ვინც მისგან რამე საოცრებას ელოდება, მინდა ვუთხრა, რომ ივანიშვილს არც ერთი დაპირება და სიტყვა არ შეუსრულებია.

– როგორ არ შეუსრულებია, 2013 წელს გვითხრა, შედეგებს საკუთარ ჯიბეებზე იგრძნობთო და მართლაც ვიგრძენით.

– ეგშეასრულა, თან გადაჭარბებით. ოღონდ კარგ ცხოვრებას გვპირდებოდა. ხალხს ძალიან გაუჭირდა. ძალიან ბევრს დავდივარ რეგიონებში და პირადად ვეცნობი მათ გასაჭირს. ახლაც, როცა ინტერვიუს გაძლევთ, ქობულეთის რაიონის სოფელ ოჩხამურში ვიმყოფები. გლეხებთან მქონდა საუბარი და გადარეული ვარ, საშინელი გაჭირვებაა.

ამათ სჭირდებათ კონკრეტული დახმარება ხელისუფლებისგან. ივანიშვილის ზღაპრებით ისინი საჭმელს ვერ შეჭამენ.

– აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ახალ მეთაურზეც მინდა გკითხოთ, რა მოლოდინები გაქვთ?

– რა მოლოდინი უნდა გვქონდეს? 29 თუ 27 წლის ბავშვმა რა უნდა გააკეთოს? მე 25 წლამდე ქალებს აბანოში დავყავდი. 29 წლის ბიჭმა რა უნდა გაგვიკეთოს, რომელსაც არც გუნდი ჰყავს და არც გამოცდილება აქვს. მოლოდინი ის გვაქვს, რომ დაგვაქცევს.

– მის პირველ ინიციატივას ბათუმში ახალი მეჩეთის აშენებაზე მკვეთრად უარყოფითი განცხადება მოჰყვა. თქვენ დედა მუსლიმი გყავთ და ამ საკითხზე თქვენი აზრი საინტერესოა.

– იცით, რატომ წამოიწყო ამ თემაზე თორნიკე რიჟვაძემ საუბარი? საპრეზიდენტო არჩევნები მოდის და მუსლიმების ხმები უნდა „ოცნებას“. მეჩეთის აშენების საკითხი ასე მარტივად გადასაჭრელი არ არის. ამას ხალხის თანხმობა სჭირდება.

თქვენმა მკითხველმა უნდა იცოდეს ისიც, რომ მუსლიმების ის ფრთა, რომელიც ახალი მეჩეთის აშენებას ითხოვს, რადიკალურ მიმართულებას წარმოადგენს.

პირადად მე, ჯელალ ქიქავა, რომელსაც დედა მუსლიმი ჰყავს, კატეგორიულად ვეწინააღმდეგები ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობას. ამ თემაზე მუსლიმთა ლიდერ ნაკაიძესაც ვესაუბრე და პირში ვუთხარი, მე ვარ თქვენი წინააღმდეგი, ვუთხარი ისიც, რომ თქვენ რადიკალურად იქცევით და აშინებთ ხალხს-მეთქი.

ჩართეთ ტელევიზორი და ნახეთ, რაც ხდება. სულ იმაზეა საუბარი, მუსლიმმა ტერორისტმა თავი აიფეთქა, ვიღაცა დაჭრა, ვიღაცა მოკლაო.

– ტერორისტებს ეროვნება და რელიგია არა აქვთ.

– ეროვნება და რელიგია როგორ არა აქვთ. ისინი რელიგიური მოსაზრებებით აწყობენ ტერაქტებს.

– დედა მუსლიმი გყავთ და ჩემზე უკეთ იცით, რომ ისლამი ძალადობას არ ქადაგებს. ისლამური სახელმწიფო, რომლის ბოევიკებიც საშინელებებს აწყობენ, ისლამური სამყარო არ არის.

– ისლამი ძალადობასა და რადიკალიზმს არ ქადაგებს და, აქედან გამომდინარე, არა გაქვს უფლება, რადიკალურად მოითხოვო ახალი მეჩეთის აშენება. რას ჰქვია, ასე მინდა და ასე უნდა გავაკეთო?! მეჩეთების აშენებას ხელს არ ვუშლი, მაგრამ ასეთი რადიკალური ფორმით მეჩეთის აშენების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ.

– აჭარის მოსახლეობა რას ფიქრობს მთავრობის ახალი მეთაურის ინიციატივაზე?

– ხალხიც ჩემნაირად ფიქრობს – მეჩეთების წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ რადიკალურ მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.

– არის ვერსია, რომ მთავრობის ახალი მეთაურის ინიციატივა რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების მიზეზი გახდება.

– რელიგიური ნიშნით დაპირისპირება არა მგონია, ღმერთმა დაგვიფაროს ამისგან. ეს ინიციატივა საარჩევნოდ ხმების მოგროვებას ემსახურება, მაგრამ ამას რაღაც გართულებები შეიძლება მოჰყვეს, რასაც ეს ხელისუფლება ვერ აცნობიერებს. ტუტუცებს როდის ესმოდათ რამე.

ტუტუცები რომ არ იყვნენ, სოფლის მეურნეობის მინისტრად იმნაირ კაცს დანიშნავდნენ, ბალახზე რომ ფეხი არა აქვს დადგმული? არაფერი ამათ არ ესმით.

– ბალახზე ფეხი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრს არა აქვს დადგმული თუ აჭარის?

– აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრზე მოგახსენებთ, თუმცა არც ქვეყნის სოფლის მეურნეობის მინისტრი მეიკლავდა ბალახზე სირბილით თავს. აჭარაში სოფლის მეურნეობის მინისტრი სუსმა შეარჩია.

– რა პროფესია აქვს ამ ადამიანს?

– ეკონომიკურ საკითხებში იყო რაღაცა და ვიღაცა. სოფლის მეურნეობა მისი საქმე არ არის.

– ეს გასაკვირი სულაც არ არის, ქვეყნის ეკონომიკის მინისტრი კარდიოლოგია.

– ეკონიმიკის მინისტრად რომ კარდიოლოგი გვყავს, იმიზა ვართ კარგად, ხალხო. ფეხბურთელი რომ იყო ენერგეტიკის მინისტრი, იმიტომ თამაშობდა დენისა და გაზის ფასი და ევიდა უმაღლეს ლიგაში.

ამათ ხელში კარგს არც მომავალში ველოდები. გუნდი არ ჰყავთ და მთლიანად მოშალეს ხელისუფლება.

– რატომ გგონიათ, რომ „ოცნებას“ გუნდი არ ჰყავს?

– კი არ მგონია, არ ჰყავს! „ოცნებაში“ რომ ხალხია, გუნდი გგონიათ? ეგენი ყველანი არიან მექრთამეები. ხელისუფლებაში ფულის საშოვნელად არიან მოსული. ბრეჟნევი მკვდარია, თორემ თავისუფლად ვიტყოდი, რომ ის მართავს ქვეყანას.

რაღაც პერიოდი საქართველოს მართლაც მართავდა ახალგაზრდა ბრეჟნევი. გიორგი კვირიკაშვილს ეძახდნენ ასე. ოპოზიციას მაგასთან პრეტენზიები რომ გვქონდა, ტყუიხართო, გვეუბნებოდნენ. ახლა თავად ამბობენ ათას უბედურებას. აწი კიდევ ბევრი რამე გამოჩნდება მაგაზე.

– რა გამოჩნდება?

– ძალიან ბევრ დარღვევას ამოუჩხრეკენ.

– ამბობენ, რომ მისი საქმე შავადაა. თქვენ რას ფიქრობთ?

– გადასარევად არა აქვს საქმე, მაგრამ არც მთლად შავადაა. გიორგი მარგველაშვილმა კვირიკაშვილის ხალხი გაიყვანა აჭარის მთავრობაში.

– მარგველაშვილმა რანაირად გაიყვანა?

– ძალიან ლამაზად. მან აჭარის მთავრობის მეთაურის პოსტზე „ოცნების“ კანდიდატი წარადგინა. იმ კანდიდატმა კი სანაცვლოდ კვირიკაშვილის კადრები დაიტოვა მინისტრებად. ნიჭიერი კაცი გამოდგა ეს მარგველაშვილი.

– რა მხრივ გამოდგა ნიჭიერი?

– რა მხრივ და კოხტად ვაჭრობს. რაღა ეგ და რაღა კოპტორგის ვაჭარი.

– კოპტორგის ვაჭარი რა არის?

– კოპტორგი საბჭოთა კავშირის დროს იყო, კოოპერატიულ ვაჭრობას ეძახდნენ ასე. აი, მაგის ვაჭარს ჰგავს მარგველაშვილი. ახლაც გაქანებული ევაჭრება ივანიშვილსა და „ოცნებას“

– რაზე ევაჭრება, მეორე ვადით უნდა პრეზიდენტობა?

– რაის პრეზიდენტობა? მაგის პრეზიდენტობა დამთავრებულია. სხვა თემებზე ვაჭრობს.

– მაინც რა თემაზე?

– კვირიკაშვილის თემაზე.

– უფრო კონკრეტულად შეგიძლიათ გვითხრათ?

– გეტყვით, რა პრობლემაა. მარგველაშვილი ივანიშვილსა და „ოცნებას“ ევაჭრება, რომ კვირიკაშვილს თავი დაანებონ და წაღებული ერთი მილიარდი აპატიონ.

– ამით რის თქმა გინდათ, რომ მარგველაშვილი კვირიკაშვილთან არის ალიანსში?

– ერთად არიან მაგენი. მარგველაშვილი გამალებით ვაჭრობს, რომ ყოფილ პრემიერს მილიარდი შეარჩინონ.

– ამის სანაცვლოდ მარგველაშვილი რას სთავაზობს „ოცნებას“?

– თუნდაც აჭარის მთავრობის მეთაურის თემა ავიღოთ. გადაწყვეტილი იყო, რომ ამ თანამდებობაზე პრეზიდენტი არმაზ ახვლედიანს წარადგენდა, მაგრამ რიჟვაძე დაასახელა. ამით მან ოპოზიცია გადააგდო. ასე იმიტომ მოიქცა, რომ „ოცნებასთან“ ივაჭრა.

– და რადგან რიჟვაძე წარადგინა, კვირიკაშვილს ხელს აღარ მოჰკიდებენ?

– სავარაუდოდ, ხელს არ მოჰკიდებენ.

– რიჟვაძე ასეთი ძვირფასია ივანიშვილისთვის, რომ ის ერთ მილიარდად ფასობს? თქვენ ამბობთ, მარგველაშვილმა ის იმიტომ წარადგინა, კვირკაშვილს მილიარდი აპატიონო.

– აქ სხვა ანგარიშებია. რიჟვაძე როგორ შეიძლება მილიარდი ღირდეს? რადგან ეს ვაჭრობა შედგა, ჩათვალეთ, რომ კვირიკაშვილს არ დაიჭერენ. არადა, პირველ რიგში, მას უნდა აგებინონ პასუხი.

– პირველ რიგში მას რატომ?

– მისი პრემიერობის დროს გაქრა მილიარდზე მეტი.

– ხომ შეიძლება, ეს მისი გვერდის ავლით მომხდარიყო?

– რას გეტყვით, იცით? ოჯახში ქალი რომ გაბოზდება, მაგი კაცის ბრალია და არ შემეკამათოთ. მთავრობის მეთაური იყო კვირიკაშვილი და, მინისტრი თუ გაუფუჭდა, თავად ყოფილა თავში. ჰოდა, თავში რომ იყო, მაგიტომაც მოატანინებენ ამ ფულს უკან.

– მარგველაშვილის ვაჭრობამ ამაოდ ჩაიარა?

– მთლად ამაოდ არა, მაგრამ ფული უნდა დაბრუნდეს. ივანიშვილი მილიარდს არავის აპატიებს.

კვირიკაშვილის ბედი ნაკლებად მადარდებს, მე დაქცეული ქვეყანა და დამშეული მოსახლეობა მტკივა. ამგენს მილიონები მიაქვთ სახლში, ხალხს კი პურის ფული არა აქვს. დანარჩენი საქართველოს მსგავსად, აჭარაშიც უმძიმესი მდგომარეობაა. ასე გაგრძელება, უბრალოდ, აღარ შეიძლება.

– აჭარაში რატომ უჭირს მოსახლეობას, ტურისტული სეზონის დროს ხომ მაინც შოულობდა ხალხი ფულს?

– სადღაა აჭარაში ტურისტული სეზონი. ტურისტული სეზონი ადრე იყო. ახლა არაფერი არ არის.

– ზღვა ხომ არის?

– მარტო ზღვა რას უშველის ხალხს? სიბინძურეშია ჩაფლული ბათუმი. ქალაქის ქუჩებს არ რეცხავენ, აქაურობა ყარს. ტურისტები, შეიძლება ითქვას, არ არიან. იცით, როგორი კატეგორიის ტურისტები ჩამოდიან? მაჭამე და მიხმარე. მკითხველთან ბოდიში ამ გამოთქმაზე, მაგრამ ამნაირები ჩამოვიდნენ წელს. მაგენი არც ბიუჯეტში შეიტანენ ფულს და არც მოსახლეობას დაუტოვებენ რამეს.

ნანა დევდარიანი: „ივანიშვილი, შესაძლოა, პრეზიდენტად დაბრუნდეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, ყოფილი სახალხო დამცველი **ნანა დევდარიანი** პასუხობს.

– ქალბატონო ნანა, ექსპერტების შეფასებით, საპრეზიდენტო არჩევნებში რაც მეტი ოპოზიციური კანდიდატი იქნება, „ოცნებას“ მით მეტი შანსი აქვს. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?

– საერთოდ, ორი თემაა ისეთი, რომელიც არასოდეს სრულდება და არ მოაქვს შედეგი. ერთია არჩევნების ბოიკოტი და მეორეა, რომ მთელი ოპოზიცია შეთანხმდეს ერთ კანდიდატზე. არ მომხდარა ასეთი და არც მოხდება, სავარაუდოდ. ამ ჭრელ ოპოზიციას ემატება მარტივ მამრავლებად დაშლილი ნაციონალური მოძრაობა. ათკაციანი პარტია ათად რომ გაიყოფა და ერთ კანდიდატურას დაასახელებს, ეს არ ნიშნავს ოპოზიციის ერთიან კანდიდატს.

– დიახ, ნაციონალური მოძრაობა თავს იწონებს, რომ შეძლეს გაერთიანება და 10-მა პოლიტიკურმა სუბიექტმა ერთიანი კანდიდატი წარადგინა. ასე არ არის?

– არ არის. რამდენი პარტიაა? 200-ზე მეტი პარტიაა რეგისტრირებული საქართველოში. ყველა ის პარტია, რომელიც საერთოდ არსად ჩანს, მარტო ფურცელზე რომ არიან, მათაც რომ წამოაყენონ კანდიდატურა, ამით წონა შეემატება რამე?! არც არაფერი.

რაც შეეხება „ოცნების“ კანდიდატურას, არის სხვადასხვა მოსაზრება. ზოგი მიიჩნევს, რომ ამ ვითარებაში, როცა სრულიად მონოპოლიზებულია ხელისუფლება, „ოცნებამ“ საერთოდ უარი უნდა თქვას კანდიდატის დასახელებაზე და თქვას, რომ ყველაფერი ჩემს ხელში კი არ იქნება, იყოს ვიღაცა ოპოზიციიდან.

– წამსვლელია ამაზე ხელისუფლება?

– ეს მხოლოდ კეთილი სურვილებია და პოლიტიკურ პროცესში სრულიად გაუგებარია. პარტიამ, რომელმაც ბოლო არჩევნები საკონსტიტუციო უმრავლესობით მოიგო, თავისი ნებით უარი თქვას საპრეზიდენტო კანდიდატზე, ასეთი რაღაცა არ ხდება ბუნებაში. მეორე მხრივ, როგორც ჩანს, არის ძიება ისეთი კანდიდატურის, რომელიც ფართო ფენებისთვის იქნება მისაღები. მარგველაშვილიც ივანიშვილის დაყენებული კანდიდატურა იყო, მაგრამ, რით დამთავრდა ეგ ისტორია ძალიან მალე, ყველას გვახსოვს.

– მარგველაშვილი ახსენეთ და მისი განცხადებები ყოველთვის დიდ ქაოსს იწვევს მმართველ გუნდში. მის ბოლო განცხადებას დიდი ალიაქოთი მოჰყვა „ოცნებაში“. რას ცდილობს მარგველაშვილი, რა თამაშს თამაშობს?

– იყო თავის დროზე ასეთი მოსაზრება, რომ ის ნიშა, რომელიც თავის დროზე ვაშაძით შეავსეს, უნდა შევსებულიყო მარგველაშვილით. თუმცა, როგორც ჩანს, შეთანხმება არ მოხდა და, მე თუ მკითხავთ, ვერც მოხდებოდა. მარგველაშვილი თუ დააყენებს საკუთარ კანდიდატურას, მას არანაირი პოლიტიკური ძალებიდან არ ექნება მხარდაჭერა. ის ჯერჯერობით რჩება უსუფაშვილის იმედზე. ჯერჯერობით უსუფაშვილს არ გამოუხატავს არავის მიმართ სიმპათია.

– უსუფაშვილი ცდილობს მარგველაშვილთან ურთიერთობების დალაგებას.

– უსუფაშვილსაც ჰქონდა სურვილი, ყოფილიყო ოპოზიციური სპექტრის ერთიანი კანდიდატი, მაგრამ არ გამოუვიდა. ახლა რას ცდილობს უსუფაშვილი, ამას დრო გამოაჩენს ძალიან მალე.

– ბევრი არც იმას გამორიცხავს, რომ თავად ივანიშვილი გახდეს „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი.

– როგორც კი განაცხადა ივანიშვილმა პარტიაში დაბრუნების შესახებ, მე მაშინვე ვთქვი, რომ არ გამოვრიცხავ მის პრეზიდენტობას. შესაძლოა, ეს ყველაზე ლოგიკური ნაბიჯი იყოს. იმას მაინც ვეღარ ეტყვიან, რომ არაფორმალური მმართველია. ამიტომ ამ ვარიანტს არ გამოვრიცხავ.

– მმართველ გუნდში მიმდინარე პროცესებზე რას იტყვით?

– რაც თავიდანვე მიმდინარეობდა „ქართული ოცნების“ შიგნით, იგივე პროცესები გრძელდება. ვერ იქნება სხვანაირად, როდესაც არიან გლობალისტები და ულტრალიბერალები და, მეორე მხრივ, არიან ეროვნული ცნობიერების ადამიანები. მათი შეთანხმება პრინციპულ საკითხებზე შეუძლებელია. ამიტომ, ვისი გავლენაც უფრო ძლიერია, იმას გააქვს თავისი. ეს არის და ეს.

– ამბობენ, რომ 2020 წლამდე „ქართულ ოცნებას“ უმრავლესობა დაეშლება პარლამენტში. თქვენ გაქვთ ეს მოლოდინი?

– ეს თეორიული მსჯელობებია, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ გვახსოვს კარგად, რომ ორ ვადაზე მეტ ხანს არც ერთ მმართველ პარტიას არ გაუძლია.

– იმის თქმა გინდათ, რომ წავა გადაჯგუფებები?

– წასულია ისედაც. კიდევ ერთი მომენტი, რის გამოც ივანიშვილმა, შესაძლოა, ეს გადაწყვეტილება მიიღოს, პრეზიდენტობას ვგულისხმობ, არის ის, რომ კონსტიტუციით აღიარებული არბიტრის ფუნქცია აიღოს თავის თავზე, როგორც პრეზიდენტმა და ამით შეაჩეროს ეს პროცესი.

– თუკი „ოცნებას“ აღარ აქვს შანსი, მესამე ვადით მოვიდეს, მაშინ მარტო დარჩება ივანიშვილი პრეზიდენტის რანგში, გუნდის გარეშე?

– ჩვენთან როგორ ხდება ხოლმე? ყოველთვის მმართველი პარტია ბადებს თავისი წიაღიდან ახალ ოპოზიციას. ერთი და იმავე სახელისა და გვარის ადამიანები გუშინწინ მოქალაქეთა კავშირის სახელით იყვნენ, გუშინ – ნაციონალური მოძრაობის სახელით და დღეს „ოცნების“ სახელით არიან. რა მნიშვნელობა აქვს ამას, ერქმევა სხვა სახელი, მაგრამ შემადგენლობა იგივე იქნება. ეს, იცით, რას ჰგავს? ჩვენ რომ აჯაფსანდალს ვეძახით და ევროპაში რომ ბოსტნეულის რაგუს ეძახიან. ეს ხომ ერთი და იგივეა. თუ შინაარსი იგივე იქნება, სახელსა და გვარს რა მნიშვნელობა აქვს?!

– შეძლებს ივანიშვილი, ახალ პოლიტიკურ ძალაზეც ისეთივე გავლენა დაამყაროს, როგორიც „ოცნებაზე“ აქვს?

– როგორც არ უნდა მოსწონდეს ან არ მოსწონდეს ვინმეს, ივანიშვილი ყველაზე გავლენიანი ფიგურაა.

– თუმცა ისტორიამ ისიც გვაჩვენა, რომ საკმაოდ გავლენიანი შევარდნაძეც და სააკაშვილიც ჯერ მეორე პლანზე გადავიდნენ და შემდეგ საერთოდ ჩამოშორდნენ პოლიტიკურ პროცესებს.

– ივანიშვილმა, მათგან განსხვავებით, ჭკვიანური ნაბიჯი გადადგა, რაც გამოიხატა იმით, რომ თავისი ნებით წავიდა თანამდებობიდან, ეს კი უკვე გამორიცხავს მაგ სცენარს. ივანიშვილი რომ ამდენი ხანი ყოფილიყო პრემიერ-მინისტრი, არავითარი წონა და გავლენა მას აღარ ექნებოდა. თუმცა ის გაერიდა ამ პროცესს და ახლა, არ არის გამორიცხული, პრეზიდენტის რანგში დაბრუნდეს.

დავით ლილუაშვილი: „მარგველაშვილის პოზიცია და განცხადებები გამაოგნებელია“

გულიკო ბალაძე

უფლებადამცველი და უწყებათაშორისი კომისიის წევრი, **დავით ლილუაშვილი**, რომელიც ყველა ჩატარებულ არჩევნების მონიტორინგს ახორციელებს, ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ ვინც უნდა დაასახელონ, დასახელებულ კანდიდატებს შორის, „ოცნების“ კანდიდატს მაინც უპირატესობა ექნება. სახელშელახული და სისხლიან რეჟიმთან ასოცირებული პარტიები დიდ შედეგს ვერ დადებენ.

– ბატონო დავით, რამდენადაც ვიცი, თქვენ ხართ უწყებათაშორისი კომისიის წევრი და ახორციელებთ მონიტორინგს. საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდია. თუ აკვირდებით პროცესს და რა შეგიძლიათ თქვათ?

– მიმდინარე წლის 16 ივლისს უკვე ჩატარდა სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის პირველი სხდომა. აღნიშნული სხდომა მოსამზადებელ სამუშაოებს დაეთმო. მომდევნო სხდომა დაგეგმილია 30 ივლისს. ვინაიდან სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების მხრიდან დასახელდა კანდიდატები, კომისიის მუშაობა უკვე დაიწყება.

– რამდენიმე კანდიდატი უკვე დასახელდა. მათზე რა შეგიძლიათ თქვათ, სერიოზული კონკურენცია იქნება?

– ანალიზისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია, თუ ვის დაასახელებს პრეზიდენტობის კანდიდატად მმართველი გუნდი. ამ ეტაპზე დასახელებული კანდიდატები, ვფიქრობ, სახელისუფლებო გუნდის კანდიდატს შესაბამის კონკურენციას ვერ გაუწევენ.

– ე.წ. 10 პარტიისგან შემდგარი კოალიციის კანდიდატი დასახელდა.

– დავარქვათ მას ნაცმოძრაობის კანდიდატი. მართალია, 10 პარტია შეიკრიბა და მათ საერთო კანდიდატი წარადგინა, მაგრამ მაინც ყველამ კარგად ვიცით, რომ გრიგოლ ვაშაძე ნაცმოძრაობას წარმოადგენს. თვითმმართველობის არჩევნები ამის ნათელი მაგალითია. ის ქუთაისის მერობის კანდიდატად იყრიდა კენჭს.

– ასევე „ევროპულმა საქართველომ“ დავით ბაქრაძე დასახელა. თითოეულმა მათგანმა, როგორც ნაცმოძრაობამ, ასევე „ევროპულმა საქართველომ“ ისეთი მაღალი გონორით ამცნეს ქვეყანას, რომ საარჩევნო პროცესში ებმებიან და ასახელებენ მათთვის მნიშვნელოვან კანდიდატებს, ფიქრობენ, თითქოს დიდი შანსები აქვთ პრეზიდენტის პოსტზე.

– შევხედოთ პრაქტიკასა და სტატისტიკას, რა შედეგებს იღებდნენ აქამდე ჩატარებული ყველა არჩევნების დროს, მათ შორის, საპრეზიდენტო არჩევნების დროს. როცა „ევროპული საქართველო“ და ნაცმოძრაობა ერთად იმყოფებოდნენ, მათი საარჩევნო რეიტინგი 27%-ს არ ასცდენია. არ ვიცი, ახლა როგორ გადანაწილდება მათ კანდიდატებს შორის ეს პროცენტული მაჩვენებელი, მაგრამ, ჯამში, აღბათ 30%-ს თუ აიღებენ.

აქედან გამომდინარე, მათი გონორი და მოლოდინი ძალიან მცდარია. საზოგადოებაც შეცდომაში შეჰყავთ.

– როდესაც თქვენ მონიტორინგს ატარებთ, ალბათ თქვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, რომელი ძალის მიმართ ხდება დარღვევა.

– რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში სადამკვირვებლო ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელის მხრიდან ობიექტურობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს.

– ჯერჯერობით არავითარი დარღვევა არ არის.

– ჯერ სერიოზული წინასაარჩევნო კამპანია დაწყებული არ არის. მოგეხსენებათ, პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატები მხოლოდ ორმა ძალამ წარადგინა. პრეზიდენტი საარჩევნო თარიღს რომ დაასახელებს, შემდეგ დაიწყება საარჩევნო კამპანია. სერიოზული საარჩევნო პროცესები დაიწყება მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ თავის საპრეზიდენტო კანდიდატს დაასახელებს.

– მარგველაშვილმა განაცხადა, რომ „ოცნება“ მის გადაწყვეტილებას ელოდება, მიიღებს თუ არა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას. როგორ ფიქრობთ, ამ არჩევნებში მნიშვნელოვანი რა იქნება, თვითონ კანდიდატებს როგორი ბიოგრაფია აქვთ თუ ზურგს რომელი პარტია უმაგრებთ?

– მარგველაშვილის პოზიცია და განცხადებები გამაოგნებელია. მარგველაშვილი ნუ წარმოიდგენს, რომ ის სამყაროს ჭიპია და საარჩევნო მარათონში მის ჩართვაზეა დამოკიდებული, ზოგადად, საპრეზიდენტო არჩევნების ბედი. მარგველაშვილის პრეზიდენტობა გარანტირებულ იქნა მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ ის თავის კანდიდატად წარადგინა.

ვაღიაროთ, რომ მარგველაშვილს არავითარი პოლიტიკური ბეგრაუნდი, პოლიტიკური პროცესების მართვისა და მენეჯმენტის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა. ის საზოგადოებისათვის მეტ-ნაკლებად ცნობადი სახე, „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული გუნდის წევრი იყო. ის „ქართული ოცნების“ მხარდაჭერით გახდა პრეზიდენტი. მიიღოს მონაწილეობა და ნახავს შედეგებს, რომელიც სამარცხვინო იქნება.

– მარგველაშვილს მხარდაჭერას ჰპირდება პოლიტიკური ძალა „შენების მოძრაობა“, რომლის ლიდერია პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე. ამას არჩევნებზე გავლენა არ ექნება?

– თვითმმართველობის არჩევნებში „შენების მოძრაობამ“, სამწუხაროდ, ვერანაირი სოლიდური სერიოზული შედეგები ვერ მოიპოვა. დავით უსუფაშვილი თავისი 2-3%-იანი რეიტინგით რას შემატებს იმ შემთხვევაში, თუ მარგველაშვილი იქნება მათი პრეზიდენტობის კანდიდატი, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი.

დავით უსუფაშვილი თავისი 2-3%-იანი რეიტინგით რას შემატებს იმ შემთხვევაში, თუ მარგველაშვილი იქნება მათი პრეზიდენტობის კანდიდატი, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი.

– რა შეიძლება იყოს მიზეზი იმისა, რომ ყოფილ თავმჯდომარეს, ჯერ კიდევ მოქმედ პრეზიდენტს არ აქვთ ისეთი გავლენა, რომ მომდევნო არჩევნებში სერიოზული შედეგები მიიღონ?

– საზოგადოება მათ მხარს არ უჭერს. „შენების მოძრაობას“ 2-3% თუ უჭერს მხარს. ამიტომ მათი მოლოდინები გარკვეულ ილუზიებს შეიცავს. იმ შემთხვევაში შეიძლებოდა ჰქონოდა მარგველაშვილს მომავალ არჩევნებში იმედი, თუ ის კარგი, პოზიტიური, მისაღები პრეზიდენტი იქნებოდა.

ვერ ნახავთ ვერც ერთ პოლიტიკურ ძალას, საზოგადოებრივ გაერთიანებასა და ორგანიზაციას, რომელიც მის პრეზიდენტობას დადებითად შეაფასებს. აქედან ჩანს, რა შედეგს მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ მარგველაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში ჩაერთვება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია გავაკეთოთ ადეკვატური და სწორი შეფასებები.

– მოსახლეობა თითქოს „ოცნების“ მუშაობით უკმაყოფილოა. არის ბევრი პრობლემა. მაინც რატომ არ უნდა უჭერდეს მხარს ხალხი ოპოზიციას? ვთქვათ, უსუფაშვილს ან მარგველაშვილს, რომელიც მაღალი თანამდებობის პირებს წარმოადგენდნენ.

– პრეზიდენტის პოსტი არ უკავშირდება ისეთი პრობლემების მოგვარებას, როგორიცაა უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. პრეზიდენტი ვითარებას ვერაფრით შეცვლის.

– ეგ გასაგებია, მაგრამ ხომ შეიძლებოდა წარმოედგინა უკეთესი პროგრამები, ვიდრე „ოცნებას“ აქვს. თუმცა, პრეზიდენტ მარგველაშვილს ამისთვის არ ეცალა, „ოცნებასთან“ მუდმივად გართულებული ურთიერთობა ჰქონდა და ჩართული იყო უაზრო პაექრობებში.

– მას შეეძლო, საერთაშორისო ასპარეზზე აქტიურად ემუშავა, ქვეყნის შიგნით კი პოლიტიკური არბიტრის როლი მოერგო, რადგან პრეზიდენტი შეზღუდული უფლებებით სარგებლობს. ახალი კონსტიტუციით საპრეზიდენტო სახელმწიფო აღარ ვართ. ქვეყანა საპარლამენტო მოდელზე გადადის.

– ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით როგორი ვითარებაა ქვეყანაში?

– ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ქვეყანაში პოზიტიური შედეგები გვაქვს, მაგრამ პრეზიდენტის დამსახურება არ არის, ქვეყანაში ადამიანის უფლებები დაცული რომ არის. ადამიანის უფლებები გულისხმობს ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფას, დემოკრატიის მაღალ სტანდარტსა და სოციალურ ეკონომიკურ უფლებებს. სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვის კუთხით მართლაც უმძიმეს მდგომარეობაში ვიმყოფებით.

– როდესაც ამბობენ, დასახელებული კანდიდატები საპრეზიდენტო არჩევნებში სერიოზულ შედეგს ვერ დადებენო, „ოცნებას“ თავისი რესურსი ჯერ არ აქვს ამოწურული და კიდევ შეუძლია ქვეყნის მართვა, ამიტომ ვერც ერთი ძალის კანდიდატს ვერ უწინასწარმეტყველებენ სერიოზულ შედეგს?

– „ოცნების“ გარკვეული ჯგუფისთვის ძალიან ცუდ პრაქტიკას წარმოადგენს პრემიები და სახელფასო დანამატები, ძვირადღირებული ავტომობილებით სარგებლობა და ძვირადღირებულ მივლინებებში ვიზიტები, მაგრამ, ვინაიდან არ ხდება ის, რაც იყო დამახასიათებელი სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმისთვის, ამიტომ მოსახლეობის დიდი ნაწილი „ოცნების“ მიმართ მაინც კეთილგანწყობას გამოხატავს. თუმცა, მაინც მნიშვნელოვანი იქნება, ვის შემოგვთავაზებს „ოცნება“ პრეზიდენტის პოსტზე. შეიძლება, იყოს ძალიან მაღალრეიტინგიანი კანდიდატი.

– მაღალრეიტინგიანში ბიძინა ივანიშვილს გულისხმობთ?

– დიახ. ვაღიაროთ, რომ ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტი გაცილებით მაღალია, ვიდრე მთლიანად – „ქართული ოცნების“. ვიღაცას ეს მოსწონს, ვიღაცას – არა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება.

– „ოცნების“ კანდიდატად სალომე ზურაბიშვილსაც ასახელებენ.

– ვინც უნდა დაასახელონ, დასახელებულ კანდიდატებს შორის „ოცნების“ კანდიდატს მაინც უპირატესობა ექნება. სახელშელახული და სისხლიან რეჟიმთან ასოცირებული პარტიები დიდ შედეგს ვერ დადებენ.

მანუჩარ მაჩაიძე: „ნაციონალები, „ევროპული საქართველო“, უსუფაშვილი და მარგველაშვილი ევროპული ღირებულებების წინააღმდეგ გამოდიან“

„ქართული ოცნების“ შიგნით უთანხმოებას განსხვავებული მსოფლმხედველობაც იწვევს“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ საპრეზიდენტო არჩევნებსა და სხვა საკითხებზე ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, დედაქალაქის საკრებულოს ყოფილ წევრ **მანუჩარ მაჩაიძეს**.

– ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები. ოფიციალურად დაასახელეს პრეზიდენტობის კანდიდატები ნაციონალურმა მოძრაობამ და „ევროპულმა საქართველომ“.

– გრიგოლ ვაშაძე და დავით ბაქრაძე არიან მათი რჩეულები. ნაციონალები და მათგან გამოყოფილი ჯგუფები ყოველთვის ერთი გუნდი იყვნენ და ახლაც არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სხვა სახელს თუ დაირქმევენ, ეს არ ნიშნავს, რომ ჩადენილის გამო პასუხი აღარ მოეთხოვებათ. ზოგს აღიზიანებს გაუთავებლად იმის ძახილი, რომ სააკაშვილის რეჟიმი საკუთარ ხალხს აწამებდა, ხოცავდა, აუპატიურებდა და ქონებას ართმევდა. როგორ უნდა დავივიწყოთ ეს ყველაფერი, როცა სამართლიანობა არ აღუდგენიათ! ქონებაჩამორთმეულებში იყვნენ შევარდნაძისდროინდელი კორუმპირებული მოხელეები, მაგრამ დაზარალებულთა უმრავლესობა პატიოსანი ხალხი იყო. კორუმპირებული ჩინოსანი არ ვყოფილვარ, რაც მქონდა, ჩემი ნაოფლარი იყო, მაგრამ სააკაშვილმა ყველაფერი წამართვა.

– თქვენს საქმეს სასამართლო იხილავს?

– ამჟამად საქმე სააპელაციო სასამართლოშია. არავის გავაკვირვებ, თუ ვიტყვი, რომ სიმართლის გარკვევას ხელი ეშლება. ძველი კადრები პროკურატურიდან და სასამართლოდან, რომლებიც ჩუმად ისევ სააკაშვილს ემსახურებიან, ცდილობენ, ძალაში დატოვონ უსამართლო განაჩენი. ჩემნაირი დაზარალებული ბევრია. სანამ სამართლიანობა არ დამკვიდრდება, ქვეყანას არაფერი ეშველება.

უსამართლობა ავტომატურად არღვევს სტაბილურობას. არიან ე.წ. ალტრუისტი პოლიტიკოსები, რომლებიც წარსულის დავიწყებაზე ღაღადებენ. მათ უნდა ესმოდეთ, რომ კანონის აღსრულება და სამართალი უმთავრესი უნდა იყოს. სხვანაირად ქვეყანას განვითარება არ უწერია.

– გრიგოლ ვაშაძე და დავით ბაქრაძე ერთმანეთს ამომრჩევლის ხმებს წაართმევენ?

– ალბათ, წაართმევენ. სანიმუშო წარსული არცერთ მათგანს არ გააჩნია. რაც უნდა გვიმტკიცონ, რომ გრიგოლ ვაშაძე დასავლური ტიპის პროგრესული მოღვაწეა, ეს ყოველთვის იქნება სიცრუე და ადამიანებისათვის ტვინის გამორეცხვა. რატომ უნდა აირჩიონ პრეზიდენტად საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში ნამუშევარი კაცი, გაუგებარია. ვაშაძე ისეთ განყოფილებებშია ნამუშევარი, რომლებიც შეიარაღებას, კოსმოსს ეხება და იქ კგბ-ს თანამშრომლების გარდა არავის უშვებდნენ. დავით ბაქრაძე შევარდნაძის დროს უშიშროების საბჭოში საქმიანობდა. ხალხმა მათი ბიოგრაფიები კარგად უნდა გაიხსენოს და არჩევანი პასუხისმგებლობით გააკეთოს.

– მმართველი პარტია რატომ აგვიანებს კანდიდატის წამოყენებას?

– არ ვიცი, რატომ გაიწელა ეს პროცესი. ვფიქრობ, ამის დრო მოვიდა.

– „შენების მოძრაობის“ ლიდერი დავით უსუფაშვილი პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს ძალების გაერთიანებისკენ მოუწოდებს.

– მათ ერთობას სკეპტიკურად ვუყურებ. ამ პოლიტიკოსების ფილოსოფიისა და იდეოლოგიისა არ მჯერა. ისინი ერს, მის კულტურასა და თვითმყოფადობას არაფრად აგდებენ. ამით უსუფაშვილი და მარგველაშვილი ეწინააღმდეგებიან ნამდვილ ევროპულ ფასეულობებს.

ევროპული სტრუქტურები თავიანთი ქარტიებითა და სხვა დოკუმენტებით ყოველთვის იცავდნენ ერების თვითმყოფადობას, მათ ენებსა და კულტურას. ევროპა კულტურული პლურალიზმის მომხრეა. უსუფაშვილი, მარგველაშვილი, ასევე ნაცმოძრაობა და „ევროპული საქართველო“ ევროპული ღირებულებების წინააღმდეგ გამოდიან. საკაშვილს უნდოდა ქართული ენის, კულტურის, ტრადიციების ამოძირკვა, ახალი ადამიანის შექმნა. მას ეს არ გამოუვიდა და ვერც გამოუვიდოდა.

– „ქართული ოცნების“ შიგნით მიმდინარე დავიდარაბაზე რას იტყვით?

– ძალიან არასასიამოვნოა, რომ დავით ჭიჭინაძე პარტიიდან გარიცხეს. ჩემი დაკვირვებით, იქ უთანხმოებას განსხვავებული მსოფლმხედველობაც იწვევს. „ქართულ ოცნებაში“ არიან ადამიანები, რომლებიც ნამდვილ ევროპულ ღირებულებებს მისდევენ, პარტიის ნაწილის აზროვნება კი ნაციონალების მსგავსია. სააკაშვილი ულტრაგლობალისტურ იდეებს დუუმორეული ამკვიდრებდა. სამწუხაროა, რომ ახლა მიმდევრები „ქართულ ოცნებაშიც“ ჰყავს.

– საზოგადოების დიდი ნაწილი ჯერჯერობით არ იჩენს ინტერესს საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ.

– ეს არ შეიძლება. არჩევნების დღეს არც სახლში დარჩენა ივარგებს. არჩევნებში აუცილებლად უნდა მივიღოთ მონაწილეობა. გასახსენებელია კანდიდატების წარსული და გასაანალიზებელია მსოფლმხედველობა.

საქართველოს სჭირდება ევროპულ და ქართულ ფასეულობებზე ორიენტირებული აღმშენებელი პრეზიდენტი და არა ის, ვინც გაჰყვარის, რომ პროგრესული, პროდასავლურია და სინამდვილეში ევროპული ფასეულობებიდან უხვევს და სააკაშვილის გზას ადგება.

რა ფუნქცია აქვთ TIR პარკებს და როგორ რეგულირდება მათი საქმიანობა

ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ მთავარმა პროკურატურამ ეკონომიკის სამინისტროსგან ე.წ.TIR პარკების მოწყობის თაობაზე დოკუმენტაცია გამოითხოვა.

შემოსავლების სამსახური გვაფრთხილებს!

შემოსავლების სამსახური ყველა საერთაშორისო გადამზიდავს მოუწოდებს, რომ საზღვართან არსებული რიგების მოწესრიგებისა და შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, საბაჟო გამშვები პუნქტების მიმართულებით მიმავალი ყველა სახის სატვირთო ავტომანქანა, მიუხედავად იმისა ცარიელია თუ დატვირთული, გამშვებ პუნქტში გამოცხადებამდე ვალდებულია განთავსდეს ე.წ.TIR პარკებში.

ავტოსადგომებიდან მანქანების გაშვება ხდება შემოსავლების სამსახურის რიგების მართვის ელექტრონული სისტემის მიხედვით. როგორც შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზეა აღნიშნული, ავტომობილებს, რომლებსაც არ ექნებათ გავლილი რეგისტრაცია, აღნიშნულ სისტემაში ან თვითნებურად (რიგის დარღვევით) დატოვებს ავტოსადგომს, საზღვრის გადაკვეთის უფლება არ მიეცემათ. შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ინფორმაცია ავტოსადგომებზე რიგების მდგომარეობის შესახებ ყველასთვის ხელმისაწვდომია. მაგალითად, აქ შესაძლებელია ნახოთ რამდენი ასეთი TIR პარკია, მაგალითად, წითელ ხიდზე. შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ონლაინრეჟიმშია შესაძლებელი მძღოლმა ნახოს და თვალი ადევნოს, რამდენი თავისუფალი ადგილია ავტოსადგომის პარკინგზე, რამდენი მანქანა ელოდება გამოძახებას საბაჟოზე, რამდენ ხანში მოუწევს რიგი და ა.შ.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა სასაზღვრო პუნქტთან იქმნებოდეს კონკურენცია TIR პარკებს შორის, მონოპოლიურ მდგომარეობაში ჩაყენებულ კომპანიას შეუძლია ნებისმიერი ფასი დაადოს სხვადასხვა სერვისებს, რომლებსაც ავტოსადგომებზე მძღოლებს სთავაზობენ. ცნობისთვის, აღნიშნული TIR პარკების რეგულირება ხდება მთავრობის მიერ 2013 წლის 31 დეკემბერს მიღებული ტექნიკური რეგლამენტით, რომელიც ძალაში 2014 წლის 1-ლი იანვრიდან შევიდა.

რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს TIR პარკები?

როგორც რეგლამენტშია აღნიშნული, სასაზღვრო გამტარ პუნქტთან განთავსებული ავტოსადგომი, უნდა მდებარეობდეს სასაზღვრო გამტარი პუნქტიდან არა უმეტეს 20 კმ-ის რადიუსში არსებულ ტერიტორიაზე და ჩართული უნდა იყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების რიგების მართვის ელექტრონულ სისტემაში. აღნიშნული ავტოსადგომები ანგარიშვალდებულნი არიან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს წინაშე, რომელსაც უნდა წარუდგინონ დოკუმენტი, თუ რამდენად აკმაყოფილებს ავტოსადგომები რეგლამენტით გათვალისწინებულ პარამეტრებს. რაც შეეხება პარამეტრებს, რეგლამენტის თანახმად, სასაზღვრო გამტარ პუნქტებთან განთავსებულ ავტოსადგომებს უნდა გააჩნდეს: ავტოსადგომის შესასვლელში სადგომზე არსებული სერვისის მანიშნებელი; ტერიტორიაზე და საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული შესვლა-გამოსვლის რიგის მარეგულირებელი სისტემა; ბეტონის ან/და ასფალტის საფარი; გარემოსდაცვითი საშუალებები; შესაბამისად მოწყობილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გასაჩერებელი ადგილები; დასათვალიერებელი ორმო/ორმოები'; შეღობილი და დაცული ტერიტორია. ამასთან, ავტოსადგომზე დაცული უნდა იქნეს: ჰიგიენური და სანიტარიული ნორმები; სახანძრო უსაფრთხოების და ტერიტორიის განათების ნორმები. ასევე დადგენილებაშია გაწერილი, ავტოსადგომზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დგომისთვის ავტოსადგომის ადმინისტრაციის მიერ დადგენილი საფასურის დღიური განაკვეთი, რომელიც 30 ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირი აუდიტისგან აიღებს ცნობას, რომ TIR პარკი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტის პირობებს, ეკონომიკის სამინისტრო უგზავნის წერილს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს, რომ მოხდეს მისი ჩართვა რიგის მართვის სისტემაში. რიგის მართვის სისტემის ოპერირებას ახორციელებს შემოსავლების სამსახური. ასე რომ, TIR პარკები აუცილებელია იმისთვის, რომ დიდი ზომის სატვირთო ავტომობილებს საბაჟო-გამშვები პუნქტის დროულად გადაკვეთის შესაძლებლობა ჰქონდეთ და გზებზე, ან გზისპირებზე არ შეიქმნას ტრაილერების უწესრიგო რიგები, რასაც მოწესრიგებული რიგის სისტემა უზრუნველყოფს. ვის ვის და სატვირთო ავტომობილების მძღოლებს კარგად ახსოვთ, რა ხდებოდა 2013 წლამდე საბაჟო გამშვებ პუნქტებზე. სრული ქაოსი და განუკითხაობა სუფევდა და ამ ბიზნესს კეზერაშვილი და მასთან დაახლოებული პირები კურირებდნენ. ავტომობილების საბაჟოზე გატარება იმის მიხედვით ხდებოდა, თუ ვინ გამონახავდა ნაცნობს ან ქრთამს გადაიხდიდა. ფაქტობრივად, შავი სალარო იყო და ეს ფული სახელმწიფოს გვერდის ავლით ერთი ბიზნესჯგუფის ჯიბეში მიდიოდა. ახლა კი მძღოლის მიერ გადახდილი მოსაკრებლიდან გარკვეული ნაწილი ბიუჯეტში გადასახადების სახით შედის. გარდა ამისა, რადგან ეს სფერო მოუწესრიგებელი იყო და შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ არსებობდა, საზღვართან, სადაც სატვირთო ავტომობილები ჩერდებოდნენ ანტისანიტარია იყო შექმნილი, რაც ადგილობრივებს დისკომფორტს უქმნიდა.

აქვე აღსანიშნავია, რომ პირველად სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტრო, საპატრულო პოლიციის სახით იძლევა რეკომენდაციას, რომ სასაზღვრო პუნქტზე არის რიგები, ავტომობილებს პრობლემა ექმნებათ საზღვარზე და აუცილებელია ერთიან სისტემაში სატვირთო ავტომობილების მოქცევა. შესაბამისად, კონკრეტულ ტერიტორიაზე TIR პარკის მოწყობას სამი სამინისტროს ლეგიტიმაცია აქვს.

ვინ ფლობს TIR პარკებს?

დავიწყოთ იმით, რომ საქართველოში ჯამში 10 ე.წ. TIR პარკია. სარფის მიმართულებით მიმავალი ყველა სახის სატვირთო მანქანა გამშვებ პუნქტში გამოცხადებამდე ვალდებულია, განთავსდეს ხელვაჩაურის რაიონში მდებარე 3 TIR პარკიდან ერთ-ერთზე, „ფიგოილის“, „ლიგას“ ან „ავტოპარკი 2015“-ს ავტოსადგომზე. შპს „ფიგოილის“ 50%-ს საჯარო რეესტრის 2016 წლის დეკემბრის ამონაწერით ფლობს გიორგი ჭყონია, 50% კი „პროფერთი გრუპ“-ს ეკუთვნის, რომლის 50%-50%-იან წილებს ფლობენ დავით მიმინოშვილი და ზაალ იაკობიძე.

საბაჟო გამშვები პუნქტის „წითელი ხიდის“ მიმართულებით გადაადგილებული სატვირთო ავტომანქანები უნდა განთავსდეს მარნეულის რაიონში არსებულ 4 ავტოსადგომზე: „ნიუ ვეი“, „მარნეული 2014“, „მწვანე“, „წითელი ხიდი“. რაც შეეხება „ტირ პარკ მარნეული 2014“-ს – 2018 წლის ივნისის ამონაწერის თანახმად, კომპანიის 50%-ს ვალეხ ნასიბოვი; 16.5%-იან წილს – მიხეილ მახათაძე და 33.5% -ს შპს „გლობალ ტრანსი“ ფლობს. თავის მხრივ, „გლობალ ტრანსი“ 2018 წლის მაისშია რეგისტრირებული და მისი მფლობელები გიორგი ვაშაძე და გელა ხიზანიშვილი არიან, რომლებიც კომპანიის 50%-50%-იან წილებს ფლობენ.

„წითელი ხიდი“ – 2018 წლის 25 იანვრის ამონაწერის თანახმად, 12%-ს რევაზ ანთია; 24.5% -ს მიხეილ მეგრელიშვილი; 12.5% – თენგიზ ანთია და 51%-ს ზაგიტ გუსეინოვი (რუსეთის ფედერაციის მოქალაქე) ფლობენ.

საბაჟო-გამშვებ პუნქტ „ლაგოდეხის“ მიმართულებით გადაადგილებული სატვირთო ავტომობილი უნდა განთავსდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწიმში არსებულ ავტოსადგომებზე – „ნიუ-ჯორჯია“ ან „მაი ვეი“. „მაი ვეის“ 50-50%-იან წილებს გივი გოგობერიშვილი და თემურ ტაბატაძე ფლობენ. რაც შეეხება „ნიუ ჯორჯიას“, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული ბოლო ამონაწერით კომპანიის 30% მურადი ჯალაბაძეს; 40% – გიორგი თევდორაშვილსა და 30% – მინდია საბანაძეს ეკუთვნის.

საბაჟო გამშვები პუნქტის „ყაზბეგის“ მიმართულებით გადაადგილებული სატვირთო ავტომანქანები უნდა განთავსდეს ერთადერთ (!), სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ფანშეტში არსებულ ავტოსადგომზე „მერფი ყაზბეგი“. 2018 წლის ივნისის ამონაწერით კომპანიის 33%-ს ელიზბარ ოქრუაშვილი; 32%-იან წილს – ალიევ ტაჰირ ნადირ ოღლუ (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მოქალაქე), ხოლო 35%-ს დამიროვ ელიარ აგაბალა ოღლუ (რუსეთის ფედერაციის მოქალაქე) ფლობენ.

უცნაურია, რომ TIR პარკის მფლობელი ოთხი კომპანიის („ლიგა ავტოპარკი 2015“ „ნიუ ვეი“ და „მწვანე“) შესახებ ინფორმაციის მოძიება ამ დრომდე ვერ შევძელით. სამეწარმეო რეესტრში ამ სახელწოდებით კომპანიები არ იძებნება, ხოლო შესაბამისი უწყებები კომპანიების საიდენტიფიკაციო კოდის და სხვა დეტალური ინფორმაციის მოწოდებისთვის ოფიციალურ მიმართვას ითხოვენ. ჩვენ ამ მიმართულებით მოკვლევას გავაგრძელებთ და, დარწმუნებული ვართ, ამ თემის გარშემო კიდევ ბევრ საინტერესო გარემოებას შემოგთავაზებთ.

სებ-მა აზერბაიჯანულ ბანკში ლიკვიდატორი მიავლინა

აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკმა საქართველოს ეროვნულ ბანკს ლიკვიდაციისთვის მიმართა. მანამდე თვითლიკვიდაციის რეჟიმში იყო, რამდენიმე თვის განმავლობაში პორტფელს თავად მართავდა.

ბანკის ცნობით, ამ დროისთვის დასაფარი 100.000 ლარის სესხებია დარჩენილი და ანგარიშებზე კლიენტების მოუკითხავი სახსრები.

სებ-ის ლიკვიდატორის დანიშვნამდე, გასასხვისებელი პორტფელისთვის კონტრაქტორი ბანკიც თავად აარჩიეს და ძირითადი ვალდებულებებიც გაისტუმრეს, მათ შორის, აქციონერების და მათ შორის, ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილის ოჯახისთვის (3 მლნ ლარამდე).

ბანკში როინ ცაციაშვილის შესვლამდე აქციონერები აქტივის გაყიდვის ვარიანტებსაც განიხილავდნენ. მათ შორის ჩინური CEFC-ისთვის, რომელსაც ფოთის თიზ-ში 24.6 მლნ ლარი აქვს გადახდილი და მმართველობის 3 -წლიან პერიოდში დაპირებული 150 მლნ დოლარს ინვესტიციიდან, 50 მლნ დოლარი უნდა ჩადოს.

აზერბაიჯანულ ბანკს საქართველოში საქმიანობის 11 წელი შეუსრულდა.

gbc.ge

აკაკი ზოიძე: „ახალმა საპენსიო რეფორმამ, შესაძლოა, მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვიოს, თუმცა შედეგი მდგომარეობას დააბალანსებს“

„რა თქმა უნდა, რისკები და გამოწვევები არსებობს“, – ასე შეაფასა „კომერსანტთან“ ახალი საპენსიო რეფორმა პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ.

როგორც ზოიძე აღნიშნავს, მსოფლიოში დემოგრაფიული ტრანზიცია და დაბერება სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს და ეს ახალი საპენსიო სისტემისთვის გამოწვევაა.

– ის, რომ ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობა იზრდება, მას უარყოფითი დატვირთვა გააჩნია და ფინანსურად მდგრადი სისტემები არამდგრადი ხდება, – განაცხადა აკაკი ზოიძემ.

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, მიუხედავად ყველაფრისა, დაგროვებითი პენსიის შესახებ რეფორმა მომავალზე ორიენტირებულია და ამით ღირსეულ პენსიაზე საუბარი არა თეორიულად, არამედ რეალურად შესაძლებელია.

– მსგავსი სახის სისტემა 122 ქვეყანაში არსებობს და მიმაჩნია, რომ ის ბაზარზე ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობას გაზრდის. შესაძლოა ამ ყველაფერმა მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვიოს, კერძოდ იმ პირების ვისთვისაც ამ რეფორმაში ჩართვა სავალდებულო იქნება. თუმცა როდესაც შედეგები დადგება ეს დამოკიდებულებაც შეიცვლება, – განაცხადა ზოიძემ.

პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე, მესამე მოსმენით „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონი მიიღო.

კანონის მიხედვით, დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართვა სავალდებულო იქნება 40 წლამდე დასაქმებული ადამიანებისთვის, ხოლო ნებაყოფლობითი იქნება მათთვის, ვისაც კანონის ძალაში შესვლამდე შეუსრულდა 40 წელი. რაც შეეხება თვითდასაქმებულებს, ისინი ნებაყოფლობით გაწევრიანდებიან სისტემაში მათი ასაკის მიუხედავად.

თითოეული დასაქმებული, დამსაქმებელი და სახელმწიფო კანონით სქემის მონაწილე ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე განახორციელებს შენატანს თითოეული დასაქმებულის ხელფასის დაუბეგრავი მოცულობის 2%-ის ოდენობით. რაც შეეხება თვითდასაქმებულ პირებს, ისინი განახორციელებენ შენატანს თავისი შემოსავლის 4%-ის ოდენობით, სახელმწიფო კი როგორც დასაქმებულების, ასევე თვითდასაქმებულების სასარგებლოდ მათ დამატებით გადაურიცხავს დასაბეგრი შემოსავლის 2%-ს.

საპენსიო დანაზოგების შეგროვება და კონტრიბუცია 2019 წლის 1-ლი იანვრიდან დაიწყება.

„დაგრიოვებითი პენსიის შესახებ“ კანონის დამტკიცების შემდეგი ეტაპი საპენსიო სააგენტოს შექმნაა.

საქართველოში სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირების 40 ცენტრი მოქმედებს

პროკურატურა ეკონომიკის სამინისტროში სხვადასხვა დოკუმენტის შესწავლით არის დაინტერესებული. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, პროკურატურა იმ დოკუმენტებს შეისწავლის, რომელიც უშუალოდ ტექდათვალიერებასა და შვეიცარიულ კომპანიაSGS-ს უკავშირდება, რომელიც რეფორმის დანერგვის პროცესში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკონსულტაციო მომსახურებას უწევს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება, ახალი სტანდარტების შესაბამისად, 2018 წლის იანვრიდან მოქმედებს. როგორც თავად ეკონომიკის სამინისტროში აცხადებდნენ, ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო, ტექნიკური ინსპექტირების რეფორმას სამი ძირითადი მიზანი აქვს. პირველი: ეს არის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება; მეორე – ავარიებისა და აქედან გამოწვეული უბედური შემთხვევების პრევენცია; მესამე – ქვეყანაში მავნე გამონაბოლქვით ჰაერის დაბინძურების შემცირება.

საქართველოს მას შტაბით, 40 ტექნიკური ინსპექტირების ცენტრი მოქმედებს. აღსანიშნავია, რომ თითოეული ცენტრი აკრედიტაციას გადის და მოწმობა 4 წლის ვადით გაიცემა. იმ პირობით, რომ მან ყოველი წლის თავზე უნდა გაიაროს გეგმური მონიტორინგი, შეფასდეს და შეფასების საფასურიც უნდა გადაიხადოს. ეს საფასური მთავრობის დადგენილების თანახმად განისაზღვრება.

აღსანიშნავია, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ ქვეყანაში რამდენიმე ტექნიკური რეგლამენტი მოქმედებს. ამათგან, უშუალოდ ინსპექტირების ცენტრების შენობის, აღჭურვილობისა და პერსონალის შესახებ კრიტერიუმებს ადგენს

ტექნიკური რეგლამენტი „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების“ თაობაზე.

მნიშვნელოვანია, რომ პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის მოთხოვნების განსაზღვრისა და პერსონალის ტექნიკურ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით ანგარიში შვეიცარიულმა კომპანიაSGS-მაც წარმოადგინა, რომელიც კონსულტაციას უწევს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პროგრამის დანერგვის მიზნით.

ბპნ

თემურ ჭყონია: „მიუღებელია თანხები, რომლებიც „ორი ნაბიჯის“ ხელმძღვანელობამ დაგვიწესა“

როგორც „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ დამფუძნებელი თემურ ჭყონია „კომერსანტთან“ განმარტავს, კომპანიამ მაღაზიათა ქსელ „ორ ნაბიჯთან“ თანამშრომლობა შეწყვიტა, რადგან მიუღებელია არსებული მიდგომები. მისივე თქმით, „ორი ნაბიჯის“ ხელმძღვანელობამ გარკვეული თანხები დაუწესა კომპანიას, რის გამოც თანამშრომლობა ვერ შედგა.

– ისეთი მოთხოვნები დაგვიწესეს, რაც სცდება საერთაშორისო სტანდარტებს. კოკა-კოლა მსოფლიოში ნომერ პირველი ბრენდია და არ ვაპირებთ, ისეთ მაღაზიაზე დავხარჯოთ ენერგია, სადაც ნებისმიერი პროდუქტი იყიდება მფლობელის გემოვნების გათვალისწინებით. „ორ ნაბიჯი“ არ არის ორიენტირებული მომხმარებელზე. შეგიძლიათ, თავად დააკვირდეთ მაღაზიას. შეხვალთ თუ არა, აღმოაჩენთ, რომ უამრავი ცნობილი ბრენდი იქ არ იყიდება. რატომ? იმიტომ, რომ კონკრეტული პროდუქტი არ ჯდება მფლობელის გემოვნებაში, – აღნიშნავს ჭყონია.

„კომერსანტის“ კითხვაზე, თანამშრომლობის პირობების შეცვლის შემთხვევაში, აპირებს თუ არა კომპანია „კოკა-კოლა“, კვლავ შევიდეს მაღაზიათა ქსელ „ორ ნაბიჯში“, თემურ ჭყონია ასე პასუხობს:

– ეს ბიზნესია, ამიტომ არაფერს გამოვრიცხავთ. იმ შემთხვევაში, თუ „ორი ნაბიჯის“ ხელმძღვანელობამ შეცვალა თავისი მიდგომები, რა თქმა უნდა, მოვიაზრებთ მომავალში ურთიერთობის გაგრძელებას, მაგრამ არა დღეს და არა ამ პირობებში, – აღნიშნავს თემურ ჭყონია.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე თვიდან „ორი ნაბიჯის“ მაღაზიათა ქსელში კოკა-კოლა აღარ გაიყიდება. როგორც „ორი ნაბიჯის“ წარმომადგენლები აღნიშნავენ, კომპანიებს შორის ურთიერთმისაღები პირობების შეთანხმება ვერ მოხდა.

ბიუჯეტში ვალდებულებების ზრდით მიღებული შემოსავალი გეგმის 79%-ია

სახელმწიფო ბიუჯეტმა წლის პირველ 6 თვეში დაგეგმილზე ნაკლები ვალი აიღო.

სახელმწიფო ხაზინის მონაცემებით, „ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 526.035 მლნ ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მოცულობის 79.3%-ია.

საშინაო ვალდებულებების ზრდით ფაქტობრივად მიღებულ იქნა – 83.77 მლნ ლარი, რაც გეგმის 111.8%-ია; საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 442.259 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის 75.1%-ია:

აღსანიშნავია ისიც, რომ საინვესტიციო გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები 255.34 მლნ ლარს შეადგენს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები – 186.918.0 ათასი ლარს შეადგენდა, გეგმის მხოლოდ 83.1%-ს.

საქართველოს სამეზობლოში ერთ-ერთი „ძვირი“ მთავრობა ჰყავს

საბიუჯეტო სტრუქტურაში დასაქმებულთა საშუალო ხელფასის მოცულობით, საქართველო მეზობელ ქვეყნებს შორის მესამე ადგილზეა. ჩვენთან შედარებით, სახელმწიფო უწყებებში საშუალო ანაზღაურება მაღალი მხოლოდ რუსეთსა და თურქეთშია, აზერბაიჯანსა და სომხეთში კი შედარებით მცირეა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მთავრობის შენახვა რიგით გადამხდელებს საკმაოდ ძვირი უჯდებათ.

სახელმწიფო მოხელეების შრომის ანაზღაურება წელს ბიუჯეტს 1,413 მლრდ ლარი უჯდება. თუ ამას სსიპ-ებს, სახელმწიფო შპს-ებს თუ სხვა სტრუქტურებს დავუმატებთ, რომლებიც თავისი არსით საჯარო უწყებებს მიეკუთვნებიან, ეს ხარჯი 2 მლრდ ლარსაც კი აჭარბებს. ზოგიერთი ჩინოვნიკის ხელფასი პრეზიდენტისა და პრემიერის ხელფასს ბევრად

აღემატება. განსაკუთრებით ეს ტენდენცია თვალშისაცემია მარეგულირებელ კომისიებში, ეროვნულ ბანკში, სახელმწიფო საპარტნიორო ფონდში და ა.შ.

რაც შეეხება ზოგადად საქართველოს და მეზობელ ქვეყნებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაღალი ხელფასებით ჩვენ სამეზობლოში მესამე ადგილზე ვიმყოფებით. „საქსტატის“ ინფორმაციით, სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 1247 ლარს, დაახლოებით 511 დოლარს შეადგენს, რაც მხოლოდ 9 დოლარით აღემატება აზერბაიჯანელი ჩინოვნიკების საშუალო ხელფასს. აზერბაიჯანის სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, მეზობელი ქვეყანაში სახელმწიფო სტრუქტურებში საშუალო ხელფასი 854 მანათს, დაახლოებით 502 დოლარს შეადგენს. საქართველოზე ნაკლები ხელფასი აქვთ სომხეთში, იქ სახელმწიფო სტრუქტურებში საშუალო ხელფასი 217 960 დრამს შეადგენს, ანუ დაახლოებით 454 დოლარს.

ქართველ ჩინოვნიკებზე მაღალი ხელფასი აქვთ რუსეთსა და თურქეთში. რუსეთის სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, იქ სახელმწიფო სტრუქტურებში თვიური საშუალო ხელფასი 47 166 რუბლს, დაახლოებით, 754 დოლარს შეადგენს, თურქეთში კი საშუალო ხელფასი 630 დოლარი, დაახლოებით 3 ათასი ლირაა.

მიწის გაყიდვის ექვსი თვის გეგმა 317%-იანი გადაჭარბებით შესრულდა

კერძოდ, სახელმწიფო ხაზინის მონაცემებით, იანვარ-ივნისში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ 63.53 მლნ ლარი შეადგინა, მაშინ, როცა საპროგნოზო შემოსავალი 27.7 მილიონი იყო. აქედან:

პრივატიზაციის გეგმა 2018 წლის 6 თვეში 229.4%-ით შესრულდა.

ძირითადი აქტივების გაყიდვიდან სახელმწიფო ბიუჯეტში 59.486 მილიონი ლარის მობილიზება მოხდა, რაც დაგეგმილზე – 237.9%-ით მეტია.

არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები 4.034 მლნ ლარი იყო. ამ შემთხვევაში ზრდა 149%-ზე მეტია.

მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის ექვსი თვის გეგმა 317%-იანი გადაჭარბებით შესრულდა. ამ სეგმენტიდან 3.805 მილიონი მობილიზება მოხდა.

კომერსანტი

ფოთში მამაკაცი, რომელიც სწრაფი ჩარიცხვის აპარატს ქურდავდა, პოლიციელმა მოკლა

ადვოკატი: „მამაკაცმა პოლიციელს თავში ჩაქუჩი ჩაარტყა და მან ამიტომ ესროლა“

გუშინ, 23 ივლისს, ფოთში მამაკაცს, რომელიც თიბისი ბანკის სწრაფი ჩარიცხვის აპარატს ქურდავდა, სამართალდამცველმა ესროლა.

თავის არეში დაჭრილი მამაკაცი ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მოგვიანებით მისი ვინაობა დადგინდა. ის 1998 წელს დაბადებული ნაზიმ გუზანოვი აღმოჩნდა, წარსულში რამდენიმეჯერ ნასამართლევი.

„კურიერის“ ცნობით, გუზანოვი 26 მაისს პასუხისგებაში

სისხლის სამართლის კოდექსის 19/177-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით იქნა მიცემული. მას ბრალად თიბისი ფეის ჩასარიცხი აპარატის ჯგუფურად ქურდობის მცდელობა ედებოდა.

ნაზიმ გუზანოვს პატიმრობა შეეფარდა, თუმცა ის მოგვიანებით (16:06. 2018 წ.) გირაოს გადახდის საფუძველზე გათავისუფლდა. საქმე ამ დრომდე ძიებაშია და განაჩენი არ დამდგარა.

მას ასევე ადმინისტრაციული სახდელი დაედო: 2016 წელს წვრილმან ხულიგნობასა და პოლიციის დაუმორჩილებლობაზე და 2018 წელს მარიხუანის მოხმარებაზე.

გუშინვე პოლიციელი, რომელმაც ნაზიმ გუზანოვს თავის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, დააკავეს.

ამის შესახებ ინფორმაცია მთავარმა პროკურატურამ გაავრცელა.

„2018 წლის 23 ივლისს, დაახლოებით ღამის 4 საათზე, ქალაქ ფოთში დადიანის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნინო ჟვანიას ქუჩაზე, სასურსათო მაღაზიასთან მდებარე თანხის ჩასარიცხი აპარატის ქურდობის ფაქტზე, დაკავებისას ფოთის პოლიციის ინსპექტორ-გამომძიებელმა, ტაბელური პისტოლეტიდან გასროლით თავის არეში დაზიანება მიაყენა ერთ პირს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

საქმეზე გამოძიებას აწარმოებს სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი, 333-ე მუხლის 3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ძალადობით, ან იარაღის გამოყენებით. პოლიციის ინსპექტორ-გამომძიებელი დაკავებულია ბრალდებულის სახით,“ – ნათქვამია განცხადებაში.

მოგვიანებით კომენტარი გააკეთა დაკავებული პოლიციელის ადვოკატმა იოსებ ჯანაშიამ.

მან აღნიშნა, რომ მისი კლიენტი თავს წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ არ ცნობს და მუხლი უნდა გადაკვალიფიცირდეს.

– ჩარიცხვის აპარატის ქურდობის მცდელობისას ახალგაზრდა მამაკაცმა თავში ჩაქუჩი ჩაარტყა, რა დროსაც პოლიციელმა, უკიდურესი აუცილებლობიდან გამომდინარე, იარაღი გამოიყენა. მუხლის გადაკვალიფიცირებას ვითხოვთ, – განაცხადა პოლიციელის ადვოკატმა.

თბილისი-რუსთავის ტრასაზე სამარშრუტო ტაქსი ხიდის ჯებირს შეეჯახა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა თბილისი-რუსთავის მაგისტრალზე – რუსთავის მიმართულებით მოძრავი სამარშრუტო ტაქსი სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხიდის ჯებირს შეეჯახა. წინასწარი ინფორმაციით, მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა.

შემთხვევის დროს სამარშრუტო ტაქსში მგზავრები იმყოფებოდნენ, თუმცა არავინ დაშავებულა.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო პოლიციისა და სამაშველო სამსახურის თანამშრომლები.

მიხეილ შაყულაშვილი: „მირზა სუბელიანმა მითხრა, რომ მკვლელობა 51-ე სკოლასთან მისი შვილისა და შვილის მეგობრის ჩაგვრის გამო მოხდა“

ვხვდები, რომ აღარ აქვს კითხვების დასმას აზრი და ვუთხარი – მირზა, გარდაცვლილია ჩემი შვილის მეგობარი, ჩათვალე, რომ ჩემი შვილია გარდაცვლილი-მეთქი, ახლავე ჯდები მანქანაში და ისვამ შენს შვილს, მიდიხარ პოლიციაში და აძლევ სრულ ჩვენებას

– ზვიად ფხაკაძესთან კომისიის სხდომის შემდეგ ჩვენც გაგვიჩნდა გარკვეული კითხვები, – ამის შესახებ თბილისის ყოფილმა პროკურორმა მიხეილ შაყულაშვილმა ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე შექმნილი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის სხდომაზე განაცხადა.

კერძოდ, კომისიის წევრები დაინტერესდნენ, თუ რატომ განაცხადა ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმის პროკურორმა საგამოძიებო კომისიის სხდომაზე ის, რომ მიხეილ კალანდია დავით სარალიძის დაჭრის მომენტში იმყოფებოდა ფარდულიდან 8-9 მეტრის მოშორებით, მაშინ, როდესაც ყველა გარემოება და მოწმეთა ჩვენებები ადასტურებენ მ.კ-ს ფარდულში ყოფნას.

თბილისის ყოფილი პროკურორის თქმით, ზვიად ფხაკაძემ მას განუმარტა, რომ აღნიშნული განცხადება თავად მ.კ-ს ჩვენების საფუძველზე გააკეთა.

– კომისიის სხდომის შემდეგ მე ვესაუბრე ზვიად ფხაკაძეს. მე დავინტერესდი სხვაობით, რომელიც იყო ზვიადის ნათქვამსა და საქმის მასალებს შორის. მან მიპასუხა, რომ ამ გარემოებაზე თავად მ.კ. სასამართლოში საუბრობსო, – განაცხადა მიხეილ შაყულაშვილმა.

სერგი კაპანაძე მიხეილ შაყულაშვილის პასუხის შემდეგ დაინტერესდა საკითხით, თუ რამდენად სარწმუნოა თავად ინციდენტში მონაწილე პირის მიერ რამდენჯერმე შეცვლილი ჩვენება, მითუმეტეს, მაშინ, როდესაც ამბობს, რომ „ის დანაშაულის ადგილზე არ იყო“.

– ყველა მტკიცებულებით, მ.კ. ფარდულშია და შემდეგ ამბობს, რომ ის იქ არ იყო, ერთ-ერთი დაკითხვის დროს. თუ არც ერთი ჩვენებით არ დასტურდება ეს გარემოება, ენდობით ასე ერთ განცხადებას თქვენ? მით უმეტეს, რომ ამ ადამიანს რამდენჯერმე აქვს შეცვლილი ჩვენება. ენდობოდით თქვენ ამ მოწმეს? – განაცხადა სერგი კაპანაძემ.

თბილისის ყოფილმა პროკურორმა მას ასე უპასუხა: „გააჩნია შემთხვევას.“

მიხეილ შაყულაშვილის ინფორმაციით, 1 დეკემბერს, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის შემდეგ მირზა სუბელიანი მასთან კაბინეტში პირადად მივიდა და რჩევა ჰკითხა, თუ რა გაეკეთებინა.

– ურთიერთობა მქონდა გამარჯობა-გაგიმარჯოს დონეზე. რაც შეეხება 1 დეკემბრის შემდგომ ურთიერთობას, როცა ამ ფაქტის შესახებ გავიგე, დაახლოებით 16:15 საათზე ჩემს ტელეფონზე შემოვიდა ზარი და აღმოჩნდა, რომ მირზა სუბელიანი მირეკავდა. აპლიკაციით მირეკავდა. მითხრა, რომ მირზა იყო და ვუთხარი, რომ არ მეცალა, რადგან 51-ე სკოლაზე ვიყავი გადართული. მან კი საპასუხოდ მითხრა, რომ ზუსტად ამ საკითხზე უნდოდა შეხვედრა.

ვიგრძენი, რომ ინფორმაცია ჰქონდა და დავიბარე, რომ სასწრაფოდ მოსულიყო ჩემთან. დაახლოებით 20 წუთის შემდეგ მოვიდა ჩემს კაბინეტში სუბელიანი, გაფითრებული და დაბნეული იყო. დავსვი მაგიდასთან და ვკითხე, რა მოხდა. სუბელიანი კი მპასუხობს, რომ 51-ე სკოლასთან მომხდარი უბედურება მისი შვილისა და შვილის მეგობრის ჩაგვრის გამო მოხდა. მეუბნება, რომ მისმა შვილმა ჩაგვრის შემდეგ დაურეკა დეიდაშვილს, რომელმაც თავის მხრივ წამოიყვანა მეგობრები, რომლებიც შეიკრიბნენ სადღაც გვერდზე ქუჩაზე და მოხდა უბედურება.

ეს იყო ზოგადი მონახაზი. სუბელიანმა მითხრა, რომ იყო დაბნეული და მერჩია, რა გაეკეთებინა. ამის შემდეგ პირდაპირ ვეკითხები – მირზა, შენი შვილი არის მკვლელობაში გარეული თუ არა? ვის ეჭირა დანა? მან კი მიპასუხა, რომ მე შვილი ასე არ გამიზრდია, რომ მკვლელობაში იყოს გარეულიო, ხოლო ვინ იხმარა დანა, მე არ ვიციო. ვხვდები, რომ აღარ აქვს კითხვების დასმას აზრი და ვუთხარი – მირზა, გარდაცვლილია ჩემი შვილის მეგობარი, ჩათვალე, რომ ჩემი შვილია გარდაცვლილი-მეთქი, ახლავე ჯდები მანქანაში და ისვამ შენს შვილს, მიდიხარ პოლიციაში და აძლევ სრულ ჩვენებას, – განაცხადა შაყულაშვილმა.

მისივე თქმით, ამის შემდეგ მირზა სუბელიანს მისთვის აღარაფერი უთქვამს, გავიდა ოთახიდან და დატოვა თბილისის პროკურატურის შენობა.

– ავიღე ყურმილი და 16:45 საათზე მთავარ პროკურორს შევატყობინე მირზა სუბელიანის ვიზიტის შესახებ და მოვუყევი სუბელიანის მონაყოლის შინაარსი. ასევე კურატორ მოადგილეს მოვუყევი ყველაფერი და ვუთხარი, რომ სუბელიანი პოლიციაში გავგზავნე. დავურეკე ასევე ჩემს მოადგილეს, გიორგი გაბოძეს, რომ გაეკონტროლებინა, რომ ამ ბავშვისგან სრულყოფილი ინფორმაცია ამოგვეღო.

ამის შემდეგ დავურეკე ქალაქის პოლიციის განყოფილების უფროსის მოადგილეს და ვუთხარი, რომ მივიდოდა მირზა სუბელიანი, ავუხსენი სიტუაცია და ვუთხარი, რომ დაკითხვა გაეკონტროლებინა. ამის შემდეგ სუბელიანთან კონტაქტი აღარ მქონია. მხოლოდ აღდგომის დღესასწაული მივუღოცე, – აღნიშნა მიხეილ შაყულაშვილმა.

ყოფილი პროკურორის ინფორმაციით, გარდაცვლილი ლევან დადუნაშვილი მიხეილ შაყულაშვილის შვილის კლასელი და მეგობარი იყო.

გიორგი გაბოძე: „ძალიან ცუდ მდგომარეობაში გამოვდივარ, თითქოს მიხეილ კალანდიას ვიცავ. მისი დაცვის არანაირი სურვილი არ მაქვს“

– ძალიან ცუდ მდგომარეობაში გამოვდივარ, თითქოს მიხეილ კალანდიას ვიცავ, მისი დაცვის არანაირი სურვილი არ მაქვს, – განაცხადა თბილისის პროკურორის ყოფილმა მოადგილე გიორგი გაბოძემ პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის გუშინდელ სხდომაზე.

გაბოძესა და „ევროპული საქართველოს“ წევრ ოთარ კახიძეს შორის დიალოგი წარიმართა იმასთან დაკავშირებით, უნდა წაეყენებინა თუ არა პროკურატურას ბრალი მ.კ.-სთვის დანაშაულში თანამონაწილეობასთან დაკავშირებით.

პროკურორი აცხადებს, რომ ბრალის წაყენების საფუძველი მტკიცებულებების საფუძველზე არ იყო.

– ძალიან ცუდ მდგომარეობაში გამოვდივარ, თითქოს მ.კ.-ს ვიცავ და ამის არანაირი სურვილი არ მაქვს. რეალურად ჩემს პოზიციას ვიცავ. ძალიან არ მინდა ისე გამოვიდეს, რომ მისი ადვოკატი ვარ, მაგრამ, სამწუხაროდ, მიწევს ჩემი პოზიციის დაცვა, რაც გამოდის, რომ თანხვედრაშია დაცვის პოზიციასთან, – მიმართა გაბოძემ ოთარ კახიძეს.

მან თქვა, რომ ჰქონდა ინფორმაცია, რომ მ.კ-ს ტანსაცმელი გადაყრილი იყო.

– თუ არ იქნებოდა გადაყრილი, უნდა ჩატარებულიყო ჩხრეკა და ეს ტანსაცმელი უნდა ამოღებულიყო, – განაცხადა გიორგი გაბოძემ.

კომისიის წევრი ირაკლი აბესაძე დაინტერესდა, იცოდა თუ არა იმ ფაქტის შესახებ, რომ მ.კ.-ს სისხლიანი ტანსაცმელი ინახებოდა სახლში და რატომ არ მოხდა მისი ამოღება.

– 3 დეკემბერს მ.კ. თავისივე ჩვენებაში ეუბნება გამომძიებელს, რომ მაისური, რომელიც მას ეცვა, იყო სისხლიანი, გამოიცვალა მეზობელთან ყოფნისას და მეზობელმა ეს მაისური მისცა მ.კ.-ს ძმას, ლუკა კალანდიას. 3 დეკემბერს, ასევე იკითხება ლუკა კალანდია, რომელსაც არაფერს ეკითხებიან ამ ტანსაცმელზე, თუ სად წაიღო მან მ.კ.-ს ტანსაცმელი. არც ერთ ოფიციალურ ჩვენებაში არ ფიქსირდება, რომ მან ტანსაცმელი გადაყარა.

22 დეკემბერს, ლუკა კალანდიას განმეორებითი დაკითხვის შემდეგ ის უკვე გამომძიებელს ეუბნება, რომ სისხლიანი მაისური გაირეცხა სახლში და დღესაც ჩვენს სახლში ინახებაო. ანუ 3 დეკემბერს გამომძიებელმა იცის და მას შეუძლია ამოიღოს ტანსაცმელი, თუმცა ამას არ აკეთებს. დამეთანხმებით, რომ არასწორად თქვა გამომძიებელმა, როდესაც გითხრათ, რომ ეს ტანსაცმელი გადაყრილია და ვერ აღმოვაჩინეთო? – განაცხადა ირაკლი აბესაძემ.

ამაზე გიორგი გაბოძემ ასეთი რამ თქვა:

– ჩემი რეკომენდაცია იყო, რომ ჩატარებულიყო ყველა ობიექტის ჩხრეკა, ვინც მონაწილეობდა ინციდენტში, მათ შორის ნათესავების და მეზობლების. თუ რაღაცნაირად ამის სტანდარტი იქნებოდა, რომ იქ გადამალეს მტკიცებულებები.

თუმცა რა ტიპის მოქმედებები ჩატარდა, ეს უკვე განსაზღვრული იყო პროკურორის და გამომძიებლის მიერ. ეს იყო გამომძიებლის შესაფასებელი.

გაბოძემ სხდომაზე ვიდეოჩანაწერების შესახებაც ისაუბრა.

– გავეცი რეკომენდაცია, რომ ერთი კილომეტრის რადიუსით ამოღებულიყო ვიდეო კამერის ჩანაწერები, – განაცხადა მან.

კომისიის თავმჯდომარე სერგი კაპანაძე დაინტერესდა, თუ რატომ არ მოხდა ვიდეო კამერების ამოღება მიმდებარე ქუჩებიდან, კერძოდ, სვანიძე-გუდაური-ჯანაშიას ქუჩებიდან, იმ ადგილებიდან, რა მარშრუტითაც გადაადგილდნენ ხორავას ქუჩის 4 ნომრიდან გამოსული მოზარდები.

გიორგი გაბოძის თქმით, ეს კითხვა მას არ ეკუთვნის, რადგანაც მან აღნიშნული რეკომენდაცია გასცა, თუმცა, გადაწყვეტილებას კონკრეტულ შემთხვევაში იღებს საქმის პროკურორი და გამომძიებელი.

ინტერპრესნიუსი

სროლა ტორონტოში

კვირა საღამოს უცნობმა პირმა ტორონტოს ქუჩაში გამვლელებს ცეცხლი გაუხსნა. დაჭრილია 14 ადამიანი. აქედან ერთ-ერთი 12 წლის გოგონაა. 2 დაჭრილი გარდაიცვალა.

პოლიციამ მსროლელს საპასუხო ცეცხლი გაუხსნა. თავდამსხმელი ლიკვიდირებულია. მისი ვინაობა ჯერჯერობით არ სახელდება.

ხარკოვში ტერორისტი დაიჭირეს

უკრაინის უშიშროების სამსახურმა ხარკოვში ტერორისტი დაიჭირა. ის რკინიგზაზე დივერსიის მოწყობას აპირებდა, კერძოდ, სატვირთო მატარებელი უნდა აეფეთქებინა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ხსენებული პირი დონეცკის მცხოვრებია. ის ე.წ. დონეცკის რესპუბლიკის უშიშროების სამსახურმა მოისყიდა და დიდძალი თანხის სანაცვლოდ ტერაქტის მოწყობაზე დაითანხმა.

ახლა ტერორისტი წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება. მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

ტერაქტი ქაბულში

ქაბულის აეროპორტში ტერაქტი მაშინ მოხდა, როცა გენერალი დუსტუმი შინ დაბრუნდა. ასაფეთქებელი მოწყობილობა მოქმედებაში თვითმკვლელმა ტერორისტმა მოიყვანა.

აფეთქების შედეგად დუსტუმი არ დაზარალებულა. დაიღუპა თავად ტერორისტი და 14 ადამიანი, დაშავდა 150.

მარია ბუტინას აშშ-ში ფართო კონტაქტები ჰქონდა

მარია ბუტინას აშშ-ში ფართო კონტაქტები ჰქონდა. ამის თაობაზე რადიო „თავისუფლება“ იუწყება. კერძოდ, ბუტინა ახლო ურთიერთობაში იყო ფედერალური სარეზერვო ფონდის ხელმძღვანელ ფიშერთან და ფინანსთა მინისტრის მოადგილესთან, ამას გარდა, რიგ ამერიკელ მაღალჩინოსანთან ჰქონდა კონტაქტები.

ახლა ბუტინა დაპატიმრებულია. მას ბრალად ჯაშუშობა ედება. როგორც ჩანს, ის აშშ-ში მართლაც ფართომასშტაბიან საქმიანობას ეწეოდა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი აცხადებს, რომ ამერიკელ კოლეგა მაიკ პომპეოსთან საუბრისას ბუტინას გათავისუფლება კატეგორიულად მოითხოვა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ამასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა.

– ლავროვ-პომპეოს საუბრისას არ დასმულა აშშ-ში ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული რუსეთის მოქალაქის თავისუფლების საკითხი, – ნათქვამია განცხადებაში.

ტრამპი: „საარჩევნო კამპანიისას უკანონოდ მითვალთვალებდნენ!“

აშშ-ში გრძელდება სკანდალი 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსების ჩარევის გამო. ამერიკელი ძალოვნების დასკვნა ცალსახაა: არჩევნებში ჩარევას ადგილი ჰქონდა! პრეზიდენტი ტრამპიც იძულებული გახდა, ამას დასთანხმებოდა, თუმცა განაცხადა:

– პირადად მე რუსებთან არავითარი საიდუმლო კონტაქტები არ მქონია. პუტინთანაც არავითარ საიდუმლო გარიგებაში არ შევსულვარ! რუსების ჩარევას ადგილი მართლაც ჰქონდა, მაგრამ ამან არჩევნების შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა არ იქონია! ჰილარი კლინტონი პატიოსან ბრძოლაში დავამარცხე!

ამ სიტყვების სისწორეში უკვე ბევრს ეჭვი ეპარება. უკანასკნელ ხანს გამოძიების ფედერალური ბიუროს ყურადღების ცენტრში ტრამპის საარჩევნო შტაბის მთავარი მრჩეველი კარტერ პეიჯი მოექცა. მას რუსეთის მთავრობასთან საიდუმლო კავშირებს სდებენ ბრალად. თავად პეიჯი ამას უარყოფს.

– რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან კონტაქტები მართლაც მქონდა, ენერგეტიკის დარგში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციებზე რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებს ვხვდებოდი, ენერგეტიკის სფეროში კონსულტაციებს ვაძლევდი, მაგრამ ამაში კანონსაწინააღმდეგო არაფერია! – ამბობს პეიჯი.

აშშ-ში კი აჟიოტაჟი ძლიერდება. წამყვან ამერიკულ გაზეთებში სულ უფრო ხშირად ჩნდება პუბლიკაციები, რომ ტრამპს პუტინთან გავლენის სფეროების გადანაწილება სურს. ეს, უპირველეს ყოვლისა, უკრაინას შეეხება. პუბლიკაციების ავტორებს მოჰყავთ ტრამპის სიტყვები, რომლებიც მან წინასაარჩევნო კამპანიისას არაერთგზის განაცხადა – უკრაინა მათი პრობლემა არ არის და ამერიკა სახელმწიფოების სამჭედლო ვერ იქნება. გამომდინარე აქედან, კეთდება დასკვნა, რომ უკრაინა ტრამპისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს.

აშშ-ის პრეზიდენტი ცდილობს, რუსეთთან შეთანხმებას მიაღწიოს. სქემა შემდეგია: პუტინი დაეხმარება იმაში, რომ ირანმა სირია დატოვოს, სანაცვლოდ კი ამერიკა უკრაინის საკითხში დაუთმობს. საუბარია ამ ქვეყნის ფედერალიზაციაზე, რასაც მისი ხავერდოვანი დაშლა მოჰყვება.

თავად ტრამპი ამას კატეგორიულად უარყოფს.

– უკრაინას უზარმაზარი თანხა გამოვუყავით, ლეტალურ იარაღსაც ვაწვდით. მე გავბედე ის, რაც ჩემმა წინამორბედმა ვერ გაბედა! უკრაინის რომელ გაყოფაზეა ლაპარაკი?! – აცხადებს ტრამპი.

ამავე დროს, აშშ-ში აზვირთებული აჟიოტაჟი ტრამპს მანევრირების საშუალებას უსპობს. რუსი ჯაშუშის მარია ბუტინას დაპატიმრება, ახალი სანქციები, რომელთა შემოღებასაც რუსეთის მიმართ აშშ-ის კონგრესი აპირებს, პუტინთან შეთანხმებას, ფაქტობრივად, ხაზს უსვამს. ტრამპიც უკვე წონასწორობას კარგავს.

– წინასაარჩევნო კამპანიისას ჩემს შტაბზე უკანონო თვალთვალი ხორციელდებოდა! – ამბობს პრეზიდენტი.

ტრამპის ოპონენტები კი გამოძიების ბოლომდე მიყვანას მოითხოვენ.

კუბას ახალი ძველი მთავრობა ჰყავს

კუბის პარლამენტმა ახალი მთავრობა დაამტკიცა. ის ძირითადად წინა კაბინეტის წევრებით არის დაკომპლექტებული. ერთადერთი ახალი სახე ეკონომიკის მინისტრი ფერნანდესია.

მალე კუბის პარლამენტი ახალ კონსტიტუციასაც დაამტკიცებს. მასში დაფიქსირებულია, რომ მოქალაქეს კერძო საკუთრების ქონების უფლება გააჩნია. ნათქვამია ისიც, რომ კუბის მიზანია სოციალიზმის აშენება და არა კომუნიზმის.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166.

მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225. ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ტორპედოსა და ჩიხურას სავარაუდო მეტოქეები გაირკვა

შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში, ჩემპიონთა ლიგისა და ევროპალიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა გაიმართა.

ჩვენი ინტერესი ამჯერად მხოლოდ ევროპის ლიგაზეა მიპყრობილი, რადგან ორი გუნდი მხოლოდ ამ ტურნირზე შეგვრჩა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ცოტა გაგვიმართლა კიდეც...

იმ შემთხვევაში, თუ ქუთაისის ტორპედოს ფარერების ვიკინგურის ბარიერს გაივლის, მისი მეტოქე ალბანურ კუკეშსა და აზერბაიჯანულ ყარაბაღს შორის დამარცხებული იქნება.

სავარაუდოდ, ეს გუნდი სწორედ კუკეში იქნება, რომლის ღირსებას ქართველი ფეხბურთელი ირაკლი ძარია იცავს.

კუკეში არ ჩანს დაუძლეველი ბარიერი, ხოლო მასთან მოგების შემთხვევაში, ტორპედო ევროპალიგის პლეი ოფს ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ ტორპედო ვიკინგურთან ევროპალიგის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს შინ 26 ივლისს, 20:00 საათზე გამართავს.

იმ შემთხვევაში თუ საჩხერის ჩიხურა სლოვენიური მარიბორის ბარიერს გაივლის, მისი მეტოქე ხორვატულ ოსიეკსა და შოტლანდიურ რეინჯერსს შორის გამარჯვებული იქნება.

ჩიხურა ევროპალიგის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს მარიბორთან შინ 26 ივლისს, ასევე 20:00 საათზე გამართავს.

20 წლამდე ნაკრებმა ევროპა დაამთავრა, 18 წლამდე — იწყებს

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში ასპარეზობა მე-13 ადგილზე დაასრულა. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გუნდმა ესტონეთი 88:64 დაამარცხა და, როდესაც გუნდს ა დივიზიონში გადასვლას ვუწინასწარმეტყველებდით, მიზანთან ახლოსაც ვერ მივიდა.

ესტონელთათვის შეუჩერებელი გახლდათ გიორგი კორსანტია, რომელმაც 27 ქულა და 17 მოხსნა მიითვალა. 12 ქულა და 6 პასი დავით აფხაზავამ მოაგროვა

რაც შეეხება საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებს, ბუბა ბერიშვილის გუნდმა თურქეთიდან მაკედონიაში გადაინაცვლა, სადაც ქალაქ სკოპიეში 27 ივლისიდან 5 აგვისტოს ჩათვლით ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონი გაიმართება. ბუბა ბერიშვილისა და თემურ კანკიას გაწვრთნილი ნაკრები სტამბოლში იმყოფებოდა, სადაც 4 საკონტროლო მატჩი გამართა ევრობასკეტის კემპის მონაწილე მოთამაშეებისგან შემდგარ გუნდებთან.

2 გამარჯვების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა 2 მარცხი განიცადა. წაგებულ შეხვედრებში ქართველების წინააღმდეგ ითამაშეს კემპის ძლიერმა გუნდებმა, რომლებიც ამერიკელი, ბერძენი, კანადელი და პოლონელი 18-წლამდელი მოთამაშეებისგან იყო დაკომპლექტებული.

საქართველოს ნაკრები მაკედონიაში ტურნირის დაწყებამდე 4 დღით ადრე ჩავიდა და აკლიმატიზაციის გასავლელად, სავარჯიშოდ და ფსიქოლოგიური განწყობის ასამაღლებლად საკმარისი დრო აქვს. ნაკრებს სკოპიეში ბულგარეთიდან შეუერთდება რატი ანდრონიკაშვილი, რომელმაც ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატზე ასპარეზობა დაასრულა.

ჯგუფში ქართველების მეტოქეები ბელგიის, უნგრეთის, ავსტრიის, ესტონეთის და აზერბაიჯანის ნაკრებები იქნებიან. პლეი ოფში 2 საუკეთესო გავა. საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონს 27 ივლისს ესტონეთთან მატჩით დაიწყებს.

წყალბურთელთა ნაკრებმა თურქეთი დაამარცხა

საქართველოს წყალბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის 2018 წლის ჩემპიონატზე პირველი გამარჯვება მოიპოვა. რევაზ ჩომახიძის შეგირდებმა ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში მიმდინარე ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე განცდილი 3 მარცხის მერე 13-16 ადგილებისთვის ბრძოლაში თურქეთს 15:10 (6:3, 1:1, 3:3, 5:3) მოუგეს.

ჩვენებმა კარგად ჩაატარეს პირველი და ბოლო მეოთხედი. თუმცა, გარკვეული შეცდომები იქაც იყო, განსაკუთრებით დაცვის ცენტრში, ეგრეთ წოდებულ „ძელზე“ თამაშისას. ერთია, თურქეთის ნაკრები ვერ გამოდგა ჩვენთვის დაუძლეველი ბარიერი.

საქართველოს ნაკრებში საუკეთესო ანდრო ბითაძე იყო, რომელმაც 4 გოლი შეაგდო, მიხეილ ბაღათურიამ და მარკო ელაჩამ კი თავი 3-3-ჯერ გამოიჩინეს. 2-2 ბურთი დამირ ცრეპულიასა და რევაზ იმნაიშვილის ანგარიშზეა, ერთიც ზურაბ რურუამ გაიტანა.

ამგვარად, ქართველ წყალბურთელებს ევროპირველობაზე დასკვნითი შეხვედრა დარჩათ ჩასატარებელი. ჩვენი გუნდი სლოვაკეთს ეთამაშება და გამარჯვების შემთხვევაში, ტურნირის 16 მონაწილეს შორის მე-13 ადგილს დაიკავებს.

ნუ გვაჯყუუებთ!

ამ დღეებში ძალიან ბევრი საუბარი მოგვიწევს ქართულ გუნდებსა და ქართულ ფეხბურთზე. მიზეზი ევროტურნირებია, სადაც არცთუ სახარბიელოდ გვაქვს საქმე.

ევროტურნირებზე ქვეყნები კოეფიციენტების მიხედვით ადგენენ, თუ რამდენი გუნდით უნდა წარდგნენ. ჩვენ წელს 4 გუნდით ვიყავით, რომელიც, შესაძლოა, მომავალში 3 გახდეს, რადგან რეიტინგი და კოეფიციენტი გვივარდება. ამ თემაზე ცოტა ვრცლად შემდეგში ვისაუბრებთ.

დღეს გვინდა, ერთი პატარა თემა განვიხილოთ და ვნახოთ, როგორ ხვდებიან ქართული კლუბები ევროტურნირებს და რას აბრალებენ მარცხს. 4 ქართული კლუბიდან ევროტურნირებს 2 შემორჩა, ევროპალიგას კი უკვე დაემშვიდობნენ თბილისის დინამო და სამტრედია.

იმერლებზე ვერაფერს ვიტყვით, რადგან ეს გუნდი არათუ ევროტურნირებზე, ეროვნული ჩემპიონატისთვისაც კი არ აღმოჩნდა მზად და ცხრილის ბოლო საფეხურზე იყო, სანამ ფოთის კოლხეთს 6 ქულა არ დააკლეს. პლუს, ევროტურნირებამდე რამდენი ხნით ადრე რამდენჯერმე კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ კლუბის პრეზიდენტ გია ომანაძეს, სპორტულ დირექტორ პაატა შალამბერიძეს და მწვრთნელ ბადრი კვარაცხელიას (სანამ გია ცეცაძე ჩაანაცვლებდა ერთი კვირით ადრე), მაგრამ ყველა მათგანმა კომენტარის გაკეთებაზე უარი გვითხრა. თუმცა, დავკონკრეტდებით: პირდაპირ უარი არ უთქვამთ, სულ საქმეები მოიმიზეზეს და მოგვიანებით საუბარს დაგვპირდნენ. ყველა მოგვიანებით კონტაქტზეც, იგივე პასუხი მივიღეთ.

თბილისის დინამო, გუნდი, რომელიც ქვეყნის სახეა. ჩვენი მეგობარი კოლეგისგან, თენგიზ პაჭკორიასგან შევიტყვეთ, თუ როგორ დაოფასეს დინამო სლოვაკეთში და კლუბის გაცნობისას როგორ მოწიწებით აცხადებდა დიქტორი გუნდის მიღწევებს, ალექსანდრე ჩივაძისა და თუ დავით ყიფიანის გვარებს. და დინამო დამარცხდა გუნდთან, რომლის ქალაქის მოსახლეობა ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენას ნახევარსაც ვერ შეავსებს.

ვის არ წაუგია, მაგრამ ტრაგედია ის არის, რომ ეს წაგება აბსურდული კომენტარებით მართლდება...

– ჩვენი მეტოქის რიგებში მრავლად იყვნენ გამოცდილი ფეხბურთელები. ეს მაშინ, როცა დინამო ძალიან ახალგაზრდული გუნდია, – ეს ფრაზა ეკუთვნის დინამოს მთავარ მწვრთნელ კახა კაჭარავას.

სანამ ფეხბურთელების გამოცდილებაზე ვისაუბრებთ, მანამდე გეტყვით, რომ დუნაისკა სტრედა ევროტურნირებზე სულ მეოთხედ არის. დინამოსთან შეხვედრამდე, ბოლოს უეფას თასზე (ახლანდელი ევროპის ლიგა) 1993-94 წლების გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა და პირველივე რაუნდში დამარცხდა ავსტრიულ ზალცბურგთან (0:2; 0:2).

კლუბს რომ ევროტურნირებზე გამოცდილება არ აქვს, ამაზე ალბათ შევთანხმდით. ფეხბურთელებს გადავხედოთ, იქნებ მათი „გამოცდილება“ დაატყდა თავს რისხვად დინამოს.

დინამოს კარში ორივე გოლის ავტორი ვუკუნ ბაიო მხოლოდ 21 წლის არის, კოტდივუარელი, რომელიც აქამდე სამშობლოსა და ტუნისში თამაშობდა, მხოლოდ წელს მოირგო სლოვაკური გუნდის მაისური.

ყველაზე უფროსი მოედანზე მყოფთაგან მარინ ლუბიჩიჩი იყო – 30 წლის, ერიკ პაჩინდა 29 წლის გახლავთ, ხოლო პანამელი ერიკ დევისი – 27-ის. დანარჩენი ფეხბურთელების ასაკი 19-დან 23 წლამდე მერყეობდა.

ეს არის გამოცდილი გუნდი? ვიცით, რომ დინამოც ახალგაზრდული გუნდია, მაგრამ გუჯა რუხაია 31 წლის არის, კაჭარავას შეცვლაზე ჰყავდა ფეხბურთელები მათე ვაწაძე (30 წლის), სტეფან სიკაჩი (30 წლის), გიორგი ივანიშვილი (29 წლის), დმიტრო ივანისენია და ბუდუ ზივზივაძეც (24 წლის) უფროსები არიან მეტოქის ფეხბურთელებზე და მეტი გამოცდილება აქვთ მიღებული სხვადასხვა ქვეყნებში და თუ ევროტურნირებზე.

გამოდის, გამოცდილებით არ წაგვიგია...

– ჩვენ საქართველოს ჩემპიონატში შეჩვეული ვართ არაერთი საგოლე მომენტის გამოუყენებლობას. თუ საქართველოში ამას გპატიობენ, ევროტურნირებზე ასე ნამდვილად არ არის. ამას იქ არავინ გაპატიებს, – ესეც კაჭარავას სიტყვებია...

აქაც ცდებით, ბატონო კახა... საგოლე მომენტების გამოუყენებლობას კი არა, ფეხბურთისადმი არასწორ მიდგომას არ გაპატიებენ. რაც არ უნდა იძახოთ, კურსი აკადემიისკენ გვაქვს აღებული და ჩვენი ბავშვებით გვინდა შედეგის დადებაო, არავინ დაგიჯერებთ. არ ხდება მასე და იმიტომ. 8 წლის ასაკიდან მოყოლებული, ყველა გუნდი ჰყავს სტრედას და აკადემიაც არანაკლებ მოვლილი, მაგრამ მარტო საკუთარი ბავშვთა სკოლით რომ ვერ გადის ფონს, იმიტომ ჰყავს გუნდში ჩეხი, ხორვატი, უნგრელი, ურაინელი, ალბანელი, პანამელი და კოტდივუარელი 13 ფეხბურთელი.

ხშირად გვითქვამს და კვლავ გავიმეორებთ – საქართველოში საკლუბო ფეხბურთში მუდმივად არასწორი მუშაობაა მენეჯმენტის კუთხით, არასწორი სელექცია, ფინანსების არასწორი მართვა და „შედეგიც“ სახეზეა.

ერთი რამ სწორად აღნიშნა კაჭარავამ – ქართულ ფეხბურთში აპატიებენ ყველაფერს, რადგან დინამოზე ცუდად მუშაობენ, მაგრამ ევროტურნირები რომ ქართული ფეხბურთის კატალიზატორი და სარკეა?

ჩაგვახედა სტრედამ ამ სარკეში. ჩაგვახედა მოლდავურმა შერიფმაც, რომელმაც ჩემპიონთა ლიგიდან ქუთაისის ტორპედო დაიფრინა, მაგრამ რიონისპირულ გუნდზე კიდევ მოგვიწევს საუბარი.

სამკაცა კალათბურთი ლეგენდების თანხლებით

სამკაცა კალათბურთში საქართველოს ჩემპიონი გახდა გუნდი ბებერი არწივები, რომელმაც „თბილისი მოლში“ გამართული ფინალური ტურნირი მოიგო. ილია ლონდარიძემ, რეზო ჩაჩანიძემ, ირაკლი ალხანაიძემ და ზუკა მაჩალაძემ წაუგებლად ჩაატარეს ტურნირი და ფინალურ მატჩში დიდ ბრძოლაში – 21:19 დაამარცხეს გუნდი ძველი სკოლა, რომლის ღირსებასაც კოტე ბიწაძე, გუგა პატაშური, დავით და გიორგი ბარბაქაძეები იცავდნენ. შეხვედრა განსაკუთრებით მაშინ დაიძაბა, როცა ძველმა სკოლელებმა ანგარიში 19:19-ზე გაათანაბრეს. გადამწყვეტ მომენტში ბებერი არწივების მოთამაშეებმა იყოჩაღეს და 40 წამის განმავლობაში გამარჯვების მომტან ნიშნულს უწიეს და რუმინეთის წარმომადგენლობითი ტურნირის საგზური და 2000-ლარიანი ვაუჩერი მოიგეს.

სამკაცა კალათბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი მეხუთედ ჩატარდა. შესარჩევი ტურნირები თბილისში, ყვარელში, ბათუმში, ქუთაისსა და რუსთავში გაიმართა. აღნიშნული ტურნირების შედეგად შეირჩა 12 საუკეთესო გუნდი, რომლებმაც „თბილისი მოლში“ ფინალურ ტურნირში იასპარეზეს.

„თბილისი მოლში“ გამართულ ფინალს მსოფლიო დონის ვარსკვლავები დაესწრნენ. ამერიკის საელჩოს მოწვევით საქართველოში იმყოფებიან ვეტერანი ამერიკელი ქალი კალათბურთელები – რუთი ბოლტონი და პეტი სემი. ბოლტონი გახლავთ ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, რომელმაც 1996 და 2000 წლების ოლიმპიადებზე აშშ-ს ნაკრებში ოქრო მოიგო. პეტი სემს რაც შეეხება, მან სიეტლისა და დეტროიტის შემადგენლობაში ორჯერ მოიგო ქალთა ნბა.

რუთიმ და პეტიმ ჟიურის წევრების რანგში მონაწილეობა მიიღეს ჩატენების კონკურსში, რომელიც დავით დადუნაშვილმა მოიგო. სამქულიანების კონკურსის გამარჯვებული გიორგი ბარბაქაძე გახდა.

შედეგები

შედეგები
22 ივლისი
ფეხბურთი

შვეიცარია. სუპერლიგა
სიონი-ლუგანო 1:2
ციურიხი-თუნი 2:1
იანგ ბოიზი-გრასჰოპერსი 2:0

ბელგია. სუპერთასი
ბრიუგე-სტანდარდი 2:1

პოლონეთი. ექსტრაკლასა
გურნიკი-კორონა 1:1
პლოცკი-ლეხი 1:2
პლოცკის გოლი გიორგი მერებაშვილმა გაიტანა

უკრაინა. პრემიერლიგა
ზორია-მარიუპოლი 2:1
კარპატი-ოლეკსანდრია 0:2
არსენალი-ლვოვი 0:2

დანია. სუპერლიგა
ჰორსენსი-რანდერსი 1:1
ოდენსე-სონდერიისკე 2:2
ორხუსი-ნორდსიელანდი 1:1
ბრონდბიუ-ვეინლე 1:1

შვედეთი. აისვენსკა
აიკი-ბრომაპოიკარნა 5:1
დიურგარდენი-ჰაკენი 2:1
სირიუსი-გიოტებორგი 3:2
გიოტებორგის მე-2 გოლი გიორგი ხარაიშვილმა გაიტანა

ფინეთი. ვეიკაუსლიგა
ილვესი-კემი 2:0
კუუპიო-ვაასა 1:2
ლახტი-მარიეჰამნი 2:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ბარსელონური მიდი-მოდი

ახალი სეზონის დაწყებამდე ბარსელონაში ბევრი ცვლილებაა მოსალოდნელი. ყველაზე მთავარი: გავრცელებული ინფორმაციით, ბარსას ნახევარმცველ ივან რაკიტიჩის შეძენა მიუნხენის ბაიერნს სურს. როგორც ირკვევა, თანამემამულის გუნდში მიყვანა „რეკორდმაისტერის“ ახალმა მწვრთნელმა ნიკო კოვაჩმა მოითხოვა. მიუნხენური გრანდი ფეხბურთელის სანაცვლოდ 70 მილიონ ევროს იხდის.

რაკიტიჩი ბოლო სეზონში ბარსელონის რიგებში შეუცვლელი ფიგურა იყო და მსოფლიოს ჩემპიონატზე ხორვატიის ნაკრების ფინალში გასვლაშიც დიდი როლი ითამაშა. მის მიმართ ინტერესს მანჩესტერ იუნაიტედიც გამოხატავს.

გასული მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი აღმოჩენის, იერი მინას შეძენით დაინტერესებული კლუბების რიცხვიც ძალიან სწრაფად იზრდება. კოლუმბიელს ძალიან დიდი სურვილი აქვს, ბარსელონაში ითამაშოს, მაგრამ ერნესტო ვალვერდეს გუნდში იმდენი ცენტრალური მცველია, რომ მას დიდი სათამაშო პრაქტიკის მიღების იმედი ნაკლებად უნდა ჰქონდეს.

ევერტონის, ვულვზის, ზენიტისა და კიდევ რამდენიმე გუნდის გარდა, 23 წლის მცველით ლიონიც ინტერესდება. ამ ინფორმაციას ფრანგული მედია აქვეყნებს.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლიონს სხვა კლუბებთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ ფეხბურთელს ეროვნული ჩემპიონატის გარდა, ჩემპიონთა ლიგაზე თამაშიც შეუძლია შესთავაზოს.

როგორც ჩანს, ევერტონი დაცვის ხაზის გაძლიერებას ბარსელონის ხარჯზე აპირებს და იერი მინას გარდა, ლუკა დინის დამატებაც სურთ.

ევერტონის ინტერესთან დაკავშირებით ინფორმაცია პირველად რამდენიმე დღის წინ გავრცელდა, ახლა კი, იტალიური მედიის მეშვეობით გავიგეთ, რომ ინგლისურ კლუბს კონკურენტი გამოუჩნდა და ეს ნაპოლია, გუნდი, რომელმაც გასულ სეზონში სერია ა-ს უდავო ფავორიტ იუვენტუსს სერიოზული პრობლემები შეუქმნა.

თუ შეთანხმება ევერტონთან შედგება, ბარსელონა 24.6 მილიონ ევროს მიიღებს, ნეაპოლელების შეთავაზების დეტალები კი ჯერჯერობით უცნობია.

ახლა ბარსელონის შევსებაზეც ვთქვათ.

ბარსელონა ნახევარდაცვის გაძლიერებისთვის ტურინის იუვენტუსის ბოსნიელ ნახევარმცველ მირალემ პიანიჩს კარგ ვარიანტად მიიჩნევს. ერთია, კატალონიელების გარდა, მისი დამატებით მანჩესტერ სიტი და ჩელსიც ინტერესდებიან.

იუვენტუსი თანახმაა, გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გაყიდოს – ტურინელებს კრიშტიანუ რონალდუს შეძენაში დახარჯული ფულით შემცირებული ბიუჯეტის შევსება სურთ. იტალიის ჩემპიონები ბოსნიელ ნახევარმცველს 80 მილიონ ევროდ აფასებენ.

ბარსელონაში, შესაძლოა, ლონდონის ჩელსის ნახევარმცველ ვილიანის ტრანსფერი შედგეს.

კატალონიელებმა ინგლისელებს ბრაზილიელის ტრანსფერზე მესამე წინადადებით მიმართეს, რომელიც 55 მილიონი გირვანქა სტერლინგით შემოიფარგლებოდა, მაგრამ მათ ეს შეთავაზებაც უარყვეს.

ბოლო ინფორმაციით კი ლონდონელები ვილიანის გაყიდვას მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდებიან, თუ ისინი მოსკოვის ცსკა-ს ნახევარმცველ ალექსანდრ გოლოვინს შეიძენენ, რომლის მიმართაც ინტერესს ადრე ბარსელონაც იჩენდა.

ავსტრალიელი ბიჭი უზომოდ გასუქდა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის მკვიდრმა ცხრა წლის ბიჭმა წონაში 178 კილოგრამს მიაღწია. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ბავშვმა გასუქება ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში დაიწყო. ექვსი წლისა დაახლოებით ას კილოგრამს იწონიდა. შვიდი წლის ასაკში მისი წონის ინდექსმა 50 შეადგინა, რაც სიმსუქნის უკიდურეს ხარისხს შეესატყვისება.

ბიჭთან, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე მსუქან ბავშვს, 230-კილოგრამიან ინდონეზიელ არიე პერმანს ადარებენ, საუკეთესო ავსტრალიელი ექიმები მუშაობენ. მას მაღალი არტერიული წნევა და 2 ტიპის შაქრის დიაბეტი აწუხებს, რომელიც ხშირად უვითარდებათ ბავშვებს, რომლებსაც ჭარბწონიანობა აქვთ.

ფრანგმა მეხანძრეებმა ჯიხვის თავდასხმისგან მამაკაცი შვეულმფრენით იხსნეს

საფრანგეთის კომუნა ბოდინარ-სიურ-ვერდონში ადგილობრივ მკვიდრს თავს ჯიხვი დაესხა. მამაკაცის დასახმარებლად მაშველებს შვეულმფრენის გამოძახება დასჭირდათ.

გარეული ცხოველი 56 წლის მამაკაცს იმ დროს დაესხა თავს, როდესაც ის დილით სასეირნოდ იყო გამოსული. ჯიხვისგან თავის დასაღწევად მამაკაცი ხეზე აძვრა და სამაშველო სამსახურში დარეკა.

შემთხვევის ადგილზე ექიმები და სახანძრო სამსახურის შვეულმფრენი მივიდნენ. ის სახიფათო სიტუაციებში ადამიანების ევაკუაციისთვის გამოიყენება. მამაკაცი დაჟეჟილობებითა და უმნიშვნელო ტრავმებით გადარჩა.

ინდონეზიაში მანქანის ქვეშ მოყოლილი 10-მეტრიანი პითონი გადაარჩინეს

ინდონეზიის კუნძულ სულავესიზე 10-მეტრიანი პითონი გადაარჩინეს, რომელიც მანქანის ბორბლებქვეშ აღმოჩნდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა თვითმხილველმა გადაიღო და სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა.

ინციდენტი სოფელ ბასოკანის მახლობლად მოხდა, რომელი კუნძულის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. ერთ-ერთი ადგილობრივი მკვიდრი გზაზე ავტომობილით მიდიოდა და უზარმაზარი გველი, რომელიც მანქანის სავალ მონაკვეთზე იყო გამოსული, მაშინვე ვერ შენიშნა. მან მანქანა მკვეთრად დაამუხრუჭა, მაგრამ

ქვეწარმავალს მაინც გადაუარა წინა ბორბლებით და მხოლოდ ამის შემდეგ გაჩერდა.

პითონი ცოცხალი გადარჩა, მაგრამ ავტომობილის ქვევიდან გამოსვლას ვერ ახერხებდა. შემთხვევის ადგილზე სოფლის მცხოვრებლებმა მოიყარეს თავი. რამდენიმე მამაკაცმა გველს კუდში ჩაავლო ხელი და მისი გამოთრევა ცადა, თუმცა ძვრა ვერ უყვეს. ისინი იძულებულნი გახდნენ, მანქანის ქვეშ შეეხედათ და ჯოხის კვრით გამოეყვანათ.

ვიდეოს ავტორი ამტკიცებს, რომ საბოლოოდ პითონი მშვიდობიანად გამოიყვანეს, რის შემდეგაც ის სპეციალისტებს გადასცეს.

პედოფილი მილიარდერის მემკვიდრე კონტრაბანდისტი გახდა

საკურიერო სამსახურის DHL-ს ერთ-ერთი დამაარსებლის მემკვიდრე სამართალდამცავებს წყნარი ოკეანის კუნძულ პალაუზე ემალება.

33 წლის ჯუნიორ ლარი ჰილბრუმს ნარკოტიკების კონტრაბანდა ედება ბრალად. გამოძიების ინფორმაციით, მილიარდერის შვილმა ორი ნარკოკურიერი დაიქირავა, რომლებსაც მეტამფეტამინი მანილადან პალაუში გადაჰქონდათ და რომელიც ფილიპინებიდან 800 კილომეტრში მდებარეობს. 2016 წელს ლარი პალაუში ვიზიტის დროს დააკავეს. ის ციხიდან გაიქცა, მაგრამ მეორე დღესვე დააპატიმრეს. პოლიციამ ის კუნძულის დატოვების მცდელობისას დააკავა.

ჰილბრუმს 50 წლით პატიმრობა ემუქრებოდა. 2018 წელს ის გამოძიებასთან გარიგებაზე წავიდა და დანაშაულის აღიარებაზე თანხმობა პირობითი სასჯელის სანაცვლოდ განაცხადა. ივნისის ბოლოს სასამართლომ ის 50 ათასი დოლარით დააჯარიმა და იმ პირობით გაათავისუფლა, რომ სარეაბილიტაციო პროგრამასა და კვირაში სამჯერ ნარკოტიკებზე შემოწმებას გაივლიდა.

მილიარდერის მემკვიდრემ მხოლოდ ორ კვირაზე ოდნავ მეტ ხანს გაძლო. მან მორიგი შემოწმება აღარ გაიარა და მიიმალა. თუ დაიჭერენ, ხუთი წლით გისოსებს მიღმა აღმოჩნდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პარმას ქულები დააკლეს

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ პარმა სერია ა-ში დარჩება, მაგრამ 2018-19 წლების სეზონს უარყოფითი ბალანსით, მინუს 5 ქულით დაიწყებს.

პარმას თავდამსხმელი ემანუელე კალაიო კი 2 წლით არის დისკვალიფიცირებული და ჯარიმის სახით 20.000 ევროს გადახდა მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ სერია ბ-ს ბოლო ტურში პარმა სტუმრად ხვდებოდა სპეციას და უმაღლეს დივიზიონში აღსაზევებლად მხოლოდ მოგება აწყობდა. პარმას ფეხბურთელებმა ემანუელე კალაიომ და ფაბია ჩერავოლომ მატჩამდე სპეციას ფორვარდებს, ფილიპო დე კოლსა და ალბერტო მასის მისწერეს, რომ მათ წინააღმდეგ ძალიან არ მოენდომებინათ.

მართალია, მოგვიანებით კალაიომ განაცხადა, რომ ეს ხუმრობა იყო, მაგრამ იტალიის პროკურატურამ გამოძიება დაიწყო. პროკურატურა კლუბისთვის 2 ქულის დაკლებას ითხოვდა, რაც პარმას სერია ბ-ში დააკვეითებდა, ელიტაში კი პალერმო აღზევდებოდა. საბოლოოდ, პარმას სერია ბ-ს ქულები არ დააკლეს, მაგრამ სერია ა-ს დაიწყებს მინუსში.

გეტყვით იმასაც, რომ პარმა ფინანსური პრობლემების გამო იტალიის სერია დ-ში იყო დაქვეითებული, თუმცა კლუბმა უმაღლეს დივიზიონში დაბრუნება მოახერხა.

მოამზადა მიხეილ ყორეყოლიანმა

ასტროპროგნოზი

24 ივლისისთვის

ვერძი – ვარსკვლავების არაკეთილსაიმედო განლაგება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაზე მიუთითებს. ეს განსაკუთრებით მამაკაცებს ეხება. გამორიცხული არ არის ინფექციური დაავადებების გამწვავება. **კურო** – მიამიტობა, მიმნდობლობა დღეს დაგაზარალებთ. უმჯობესი იქნება, თუ საოჯახო საქმეებს მოაწესრიგებთ. **ტყუპები** – გელით ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება. წამოჭრილი პრობლემა დაუყოვნებლივ მოაგვარეთ. **კირჩხიბი** – წარმატებული დღეა. შესაძლოა, ძალზე სარფიანი შემოთავაზება მიიღოთ. იზრდება შემოქმედებითი პოტენციალი. **ლომი** – თავს სუსტად გრძნობთ. ეჭვიანობა და ბუტიაობა სერიოზულ ჩხუბში გადაიზრდება. **ქალწული** – დღის პირველი ნახევარი იღბლიანია. იაქტიურეთ. საღამოს მოსალოდნელია პატარა კამათი ახლობელთან. **სასწორი** – თუ წინდახედულობასა და დაკვირვებულობას გამოიჩენთ, შანსი მოგეცემათ, სერიოზულ წარმატებას მიაღწიოთ. წყენას გულში ნუ ჩაიტოვებთ. **ღრიანკალი** – შესაფერისი დროა სამომავლო გეგმებზე ფიქრისათვის, თუმცა პლანეტები გაფრთხილებენ – გულს ნურავის გადაუშლით. **მშვილდოსანი** – ახალი საქმის დაწყება სასიკეთო შედეგებს გამოიღებს. გელით პოზიტიური ცვლილება პირად ცხოვრებაში. **თხის რქა** – ავანტიურისტებს ერიდეთ. მათთან საქმის დაჭერა ყველა გეგმას ჩაგიშლით. ფიზიკურად ნუ გადაიტვირთებით. **მერწყული** – ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. მოსალოდნელია ტრავმები, ასევე – ქრონიკული დაავადებების გამწვავება. **თევზები** – გათავისუფლდით მავნე ჩვევებისაგან. აკონტროლეთ საუბრის მანერა. საკუთარ თავს მცირე სიამოვნებაზე უარს ნუ ეტყვით.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. ზიარებისთვის განკუთვნილი ღვინის ჭურჭელი ეკლესიაში; 2. დუქნის დახლიდარი; 3. კოსმონავტთა ჰერმეტული კოსტიუმი; 4. ბანქოს სათამაშო მაგიდა; 5. ოპტიკური ხელსაწყო; 10. ისტორიული ციხე-სიმაგრე მესხეთში; 11. მსჯელობის საგანი; 12. ამერიკული ფარმაცევტული ფირმა; 13. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 16. პოპულარული კაფე ძველ თბილისში, ხელოვანთა თავშეყრის ადგილი; 17. სტუდენტთა ჯგუფური მეცადინეობა უმაღლეს სასწავლებელში; 19. გონებასუსტი ადამიანი; 21. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 23. მდინარე ოზურგეთში.

თარაზულად: 6. ყალბი ან საეჭვო დებულებების მტკიცება სხვადასხვა ხრიკით; 7. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 8. ადენის ყურეში მდებარე აფრიკის სახელმწიფო; 9. ყურძნის ხეივანი; 14. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 15. მეუღლის მოტყუება, ღალატი; 18. სიგრძის საზომი ერთეული; 20. კუთხე საქართველოში; 22. მაიმუნის ერთ-ერთი სახეობა; 24. ქართულ ბალეტ „გორდას“ მუსიკის ავტორი; 25. კინოცენტრი ინდოეთში; 26. ცნობილი ფრანგი ბალეტმეისტერი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. კარეტა; 4. მერქანი; 7. გრიალი; 9. როყინი; 11. ალუბალი; 12. ჟანგბადი; 13. ისხარი; 17. პრაიდი; 18. კოპი; 19. ალტიმეტრი; 20. პირამიდა.

შვეულად: 1. კინო; 2. ტვიდი; 3. მეისრე; 5. ემალი; 6. ნალბანდი; 8. ტელევიზორი; 10. კლასიკა; 12. ჟურნალი; 14. მანეჟი; 15. ლიმიტი; 16. ტაიგა.

სკანვორდის პასუხები:

1. ონი; 2. მირეი; 3. ათანასე; 4. აზრი; 5. მო; 6. სი; 7. აბაჟური; 8. ოსპი; 9. მასრა; 10. დრაფი; 11. ტაქსა; 12. ერ; 13. რე; 14. როკ; 15. კარატე; 16. საქარინი; 17. რეგისტრი; 18. აბი; 19. ტრი; 20. პაროკო; 21. არ; 22. კვიპაროსი; 23. რეი; 24. ამია; 25. ვალი; 26. იდალგო; 27. ავიზო; 28. ვაპორეტო; 29. „მუმუ“; 30. არიოზო; 31. მაკრამე.

სურათებზე: ქეით ბექინსეილი; კრისტოფ მეცელდერი.

მანგლისში აღმოჩენა გაკეთდა

მანგლისში უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა გაკეთდა. მანგლისის პეტრე-პავლეს ტაძრის გვერდით ძველი სახლის დემონტაჟის დროს თავდაპირველი ტაძრის ქვა იპოვეს.

ინფორმაცია ვასილ ზანდუკელმა გაავრცელა:

– მანგლისის პეტრე-პავლეს ტაძარს ვხატავ. გვერდზე ძველი სახლის დემონტაჟის დროს აღმოჩნდა ეს ქვა, რომელიც თავდაპირველი უძველესი ტაძრის ქვაა, რომლის ადგილსაც აიგო დღევანდელი ტაძარი.

ვგონებ, ძალიან მნიშვნელოვანი ქვაა და გამოკვლევა კარგი იქნებოდა.

აქვეა სხვა ჩუქურთმიანი ქვებიც, რომელნიც ძველი საკათედრო ტაძრის სტილით ხასიათდება. იქნებ სპეციალისტები დაინტერესდნენ.

მთაწმინდის პარკი 80 წლისაა

24 ივლისს მთაწმინდის პარკი 80 წლის ხდება. ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით პარკის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, პარკში მისულ სტუმრებს დილიდან მხიარული და საზეიმო განწყობა დაახვედროს.

80 წლის იუბილეს ფარგლებში პარკში რამდენიმე საათის განმავლობაში გრანდიოზული 50%-იანი ფასდაკლება გავრცელდება მთაწმინდის პარკის ყველა ატრაქციონზე, დღის განმავლობაში კი მთავარ მოედანზე გასართობი ღონისძიებები ჩატარდება.

მარიკა სამანიშვილს ვარსკვლავს გაუხსნიან

ქუთაისის ლადო მესხიშვილის თეატრის მსახიობს, ვერიკო ანჯაფარიძის პრემიის ლაურეატ მარიკა სამანიშვილს ვარსკვლავს გაუხსნიან.

24 ივლისს ქუთაისის თეატრში მსახიობის შემოქმედებითი საღამო გაიმართება, რომელშიც მისი კოლეგები მიიღებენ მონაწილეობას.

შემოქმედებითი საღამოს დასრულების შემდეგ ქუთაისის თეატრის წინ მარიკა სამანიშვილის ვარსკვლავი საზეიმოდ გაიხსნება.

– ნამდვილ ვარსკვლავს ვარსკვლავს გაუხსნიან – ასე აფასებენ მარიკა სამანიშვილისთვის ვარსკვლავის გახსნას მისი მეგობრები.

ირაკლი კვირიკაძე და ენტონი ჰოპკინსი ფილმში ერთად ითამაშებენ

ახალგაზრდა ქართველი მსახიობი ირაკლი კვირიკაძე ბრიტანელ მსახიობ ენტონი ჰოპკინსთან ერთად ფილმში ითამაშებს.

ინფორმაცია და ფოტოები ინტერნეტში მოდელმა ელენე მახარაძემ გაავრცელა.

ახალი ფილმის რეჟისორი დანტე სპინოტია. ირაკლი კვირიკაძესთან ერთად ფილმზე კიდევ ერთი ქართველი მხატვარი, ლაშა ზამბახიძე, მუშაობს.

ახალი ფილმის გადაღებები ინტენსიურად მიმდინარეობს. მასზე მუშაობა შემოქმედებით ჯგუფს აგვისტოში აქვს დაგეგმილი, რასაც საერთაშორისო კინოფესტივალებში მონაწილეობა მოჰყვება.

ხატია ბუნიათიშვილის უშველებელი აფიშა როიალ ალბერტ ჰოლში გამოფინეს

ლონდონში მდებარე საკონცერტო დარბაზი როიალ ალბერტ ჰოლი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულია. ამ დარბაზის სცენაზე კონცერტებს ცნობილი ვარსკვლავები მართავენ.

როიალ ალბერტ ჰოლში ქართველი პიანისტის ხატია ბუნიათიშვილის უშველებელი აფიშაა გამოფენილი.

ლონდონში ჩასულმა ქართველმა მევიოლინე ლელა მჭედლიძემ აფიშის ფოტო სოციალურ ქსელში გაავრცელა:

– ამაყი ქართველის სმაილი! შევდივარ რეპეტიციაზე როიალ ალბერტ ჰოლში და აჰაა. ჩვენი გოგო. ჩვენი ხატია!

ბიჭოლამ 30 წლის იუბილე თბილისში აღნიშნა

დიზაინერმა ბიჭოლამ 30 წლის იუბილე თბილისში აღნიშნა.

საქართველოდან უცხოეთში წასულმა დიზაინერმა ფუნიკულიორზე შეკრიბა უახლოესი მეგობრები და კარგადაც მოილხინა.

ბიჭოლას დაბადების დღე ცნობილმა ადამიანებმა მიულოცეს. იუბილარმა წვეულებაზე მიიწვია კახუჩელა, ნინი ბადურაშვილი, ქრისტინე იმედაძე, მაკა ზამბახიძე, ლელა წურწუმია, სტეფანე, შორენა ბეგაშვილი, სალომე გოგიაშვილი...

დიზაინერი მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ბალიშებისგან ორიგინალური კოლექციები შექმნა. მოგვიანებით ბიჭოლამ და ანუკი არეშიძემ დუეტში მუშაობა გადაწყვიტეს, თუმცა მათი ტანდემი დიდხანს არ გაგრძელდა და ორივე დიზაინერმა ცალ-ცალკე მუშაობა არჩია.

ბიჭოლამ საქართველოდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო და უკვე წლებია, უცხოეთში მუშაობს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კეთილმა ადამიანებმა გაქურდულ მოხუცს ფული შეუგროვეს

უცნობმა ადამიანებმა 500 ფუნტ სტერლინგზე მეტი თანხა შეუგროვეს ინგლისის ქალაქ გლოსტერის ხანდაზმულ მცხოვრებს, რომელმაც თაღლითების გამო ფული დაკარგა.

ბოროტმოქმედები ივლისის დასაწყისში 80 წლის ქალბატონ ჯენეტ ჯოტემს ეწვივნენ. მათ ისარგებლეს იმით, რომ მას კარის დაკეტვა დააავიწყდა და უკითხავად შევიდნენ მის ბინაში. ერთ-ერთი მათგანი სავარძელში მოკალათდა და მასპინძელს გამოუცხადა, რომ ისინი ქალაქის საბჭომ მცენარეების მოსავლელად გამოგზავნა. თაღლითებმა პენსიონერი დაარწმუნეს, რომ მათთვის მომსახურების თანხა გადაეხადა, რის შემდეგაც მიიმალნენ.

ჯოტემმა მათ 250 ფუნტი სტერლინგი გადასცა, რომელსაც ის ტურისტული მოგზაურობისთვის აგროვებდა პენსიიდან. ქალი კორნუოლში წასვლასა და იქ დასვენებას აპირებდა. ბოლოს ის დასასვენებლად 1960 წელს, 22 წლის ასაკში იმყოფებოდა.

რამდენიმე დღის წინ მისმა 52 წლის შვილმა მომხდარის თაობაზე სოციალურ ქსელში დაწერა და მის მომხმარებლებს დახმარება სთხოვა. ერთი დღე-ღამის განმავლობაში მის თხოვნას 24 ადამიანი გამოეხმაურა, რომელთაც მოხუცებულისთვის საბოლოოდ 550 ფუნტი შეაგროვეს.

– ვერ ვიჯერებ, რომ ასეთ მოკლე დროში ასეთი თანხის შეგროვება მოხერხდა, – განაცხადა პენსიონერი ქალბატონის შვილმა.

ცნობისმოყვარე კოალა დენის დარტყმისგან გადაარჩინეს

ავსტრალიაში გადაარჩინეს ცნობისმოყვარე კოალა, რომელსაც თავი ელექტროქვესადგურის ლითონის ღობეში გაეჭედა.

ცხოველთა დაცვის ფონდის თანამშრომელმა პოლ რობერტსონმა აღნიშნა, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფი კოალა გამვლელმა აღმოაჩინა. მისი თქმით, ცხოველს გაუმართლა, რომ ღობეში გაძრომა ვერ შეძლო. ამის წყალობით ის დენის

დარტყმას გადაურჩა, რასაც, შესაძლოა, მისი დაღუპვა გამოეწვია.

ფონდის ოპერატორმა სარა სელვუდმა განაცხადა, რომ კოალა პირველად არ აღმოჩენილა ცუდ მდგომარეობაში, რაზეც მის ყურზე გაკეთებული ყვითელი იარლიყი მეტყველებს. ადრე ის ნახეს ეზოებში, რომლებშიც ძაღლები იმყოფებოდნენ. მან აღნიშნა, რომ ცხოველი გათავისუფლებას თავადვე მოახერხებდა, მიწაზე დაჯდომა რომ მოეფიქრებინა და იქვე დაამატა, რომ, როგორც ჩანს, ამ ცხოველს უსიამოვნო მდგომარეობაში ყოფნა მოსწონს.

გადარჩენილი კოალა სპეციალისტებმა გასინჯეს, რის შემდეგაც მისთვის ბუნებრივ გარემოში დააბრუნეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ავსტრალიელი ქალი მეუღლის ღალატში მისმა მოდით გატაცებამ დააეჭვა

ავსტრალიელი ქალი საკუთარი მეუღლის ღალატში მასში მოდის მიმართ ინტერესის გაღვივებამ დააეჭვა.

ინკოგნიტოდ დარჩენის მსურველმა ქალბატონმა ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ მოსმანიდან დახმარებისთვის ერთ-ერთ გამოცემას მიმართა. მან დაწერა, რომ მისი მეუღლე ტელეფონს მალავს და მისი პაროლიც შეცვალა.

– ასევე მან დაიწყო ახალი მოდური ტანსაცმლის ყიდვა (ისინი მისთვის სრულიად შეუფერებლად გამოიყურებიან) და თანამედროვე ვარცხნილობა გაიკეთა. მისი თვალთვალი აზრად არასოდეს მომსვლია, მაგრამ ახლა ამის გაკეთება ძალიან მინდა, – დაამატა ქალბატონმა.

გამოცემის თანამშრომელმა ველ ედვარდსმა, რომელიც ურთიერთობების ექსპერტია, ქალს მისი ეჭვების საფუძვლიანობა დაუდასტურა.

– თუ რაღაც ყიყინებს, როგორც იხვი და იხვივით გამოიყურება, მაშინ ის უეჭველად იხვია! ყველაფერი ადასტურებს იმას, რომ მას საყვარელი ჰყავს, – განაცხადა ედვარდსმა. მისი თქმით, ღალატის ძირითად ნიშნებს წარმოადგენს ფულის დიდი ხარჯვა, მუდმივად ტელეფონის შემოწმების სურვილი, მეუღლესთან სექსის სურვილის კლება, გარეგნობის მოულოდნელი ცვლილება და სამსახურში გვიანობამდე დარჩენის აუცილებლობა.

ქალმა მეუღლის მანქანაში მისი საყვარელი შენიშნა და საქარე მინა ჩაამსხვრია

მეუღლის ღალატში მხილების შემდეგ ჩინელი ქალი მის მიმავალ მანქანას შეახტა და საქარე მინა ჩაუმსხვრია. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გაავრცელა.

ვიდეორგოლი ცზიანსუს პროვინციის ქალაქ ნანკინშია გადაღებული. კადრში ჩანს, რომ ქალი შავი ფერის აუდის მარკის მანქანის კაპოტზე ზის, რომელშიც მისი მეუღლე და მისი საყვარელი იმყოფებიან. ის ყვირის და საქარე მინას ჯოხს ურტყამს.

– კარი გააღე, შე ნაძირალავ, გადმოდი მანქანიდან! გადმოეთრიე! – ღრიალებს ქალი.

მამაკაცმა მანქანა მხოლოდ ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელთან შეაჩერა. მოტყუებული ცოლი მას გააფთრებული ეკვეთა.

– შენ მეუბნებოდი, რომ სახლს ვიყიდდით, გუშინ ერთად ვიყავით სახლის სანახავად, დღეს კი საყვარელთან ერთად სეირნობ! – უყვიროდა ქალი და მუშტებს ურტყამდა.

გამვლელებმა მანქანის კარი გამოაღეს, შიგნით მჯდომ გოგონას სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ და არცხვენდნენ. საბოლოოდ პოლიციელებმა ინციდენტის სამივე მონაწილე დააკავეს და განყოფილებაში გადაიყვანეს.

სამგლოვიარო განცხადებები

ყოფილი თანამშრომლები და კოლეგები – სოსო ნეფარიძე, ელგუჯა გზირიშვილი, თემურ ნეფარიძე, ვოვა ხუხია, ნანა ალფაიძე, ნანა ამირეჯიბი, ნანა ცხვედიანი, ვასილ კურატიშვილი, დოდო ღამბაშიძე, ეთერ კანკავა, მანანა ცუცქირიძე, ოთარ თურმანიძე, ტრისტან დვალიძე, შოთა ტაბატაძე, ნელი ალთუნაშვილი, ნანა ოჩხიკიძე, თინა ბარბაქაძე, ალვარ ხუნდაძე, ვიკა ღვინიანიძე, დავით ყვავაძე დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი გეოლოგი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

ნოდარ კვახაძე

და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

24 ივლისისთვის

- აშშ დოლარი — 2.4417
- ევრო — 2.8436
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1813
- 100 რუსული რუბლი — 3.8430

ამინდის პროგნოზი 24 ივლისისთვის



იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი

ავთანდილ ბუხრაშვილი

ვინ მოკლა ინსპექტორი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი

მაკა სეფაშვილი

დანაშაული აღარ მოხდება

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ზლატანს ამერიკის პრეზიდენტობა უნდა

ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ კარიერის დასრულების შემდეგ ის, შესაძლოა, პოლიტიკაში წავიდეს და მისი მიზანი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობაა. ბუნებრივია, ეს იბრაჰიმოვიჩმა ნახევრად ხუმრობით თქვა, რადგან ამერიკის პრეზიდენტობისთვის ამ ქვეყანაში დაბადებაა აუცილებელი.

იბრაჰიმოვიჩი ამჟამად ლოს ანჟელეს ლეიკერსის ღირსებას იცავს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ამერიკელი უმი მოლუსკების ჭამას ემსხვერპლა

ამერიკის ქალაქ სარასოტის მცხოვრები კუჭ-ნაწლავის ინფექციის შედეგად მას შემდეგ გარდაიცვალა, რაც რესტორანში უმი მოლუსკებით ჩაიტკბარუნა პირი.

ფლორიდის შტატის ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტში უარი განაცხადეს გარდაცვლილის ვინაობისა და რესტორნის დასახელების გამხელაზე. თუმცა ორგანიზაციაში აღნიშნეს, რომ გარდაცვლილი 71 წლის იყო და რესტორანში სადილობიდან ორი დღის შემდეგ გარდაცვალა ინფექციისგან, რომელიც ბაქტერია Vibrio vuinificus-მა გამოიწვია.

აღნიშნული ბაქტერიები თბილ მარილიან წყალში ბინადრობენ. მათგან დაინფიცირება იშვიათობას წარმოადგენს. ეს ძირითადად სწორედ უმი მოლუსკების ჭამის ან ღია ჭრილობის მარილიან წყალთან შეხების დროს ხდება.

ამ შემთხვევის შემდეგ დეპარტამენტმა მოსახლეობას ურჩია, ღია ჭრილობით მარილიან წყალში შესვლისგან თავი შეიკავონ.

ქალმა ფეხი გაპარსვისა და საკუთარი უყურადღებობის გამო დაკარგა

ბრიტანეთის ქალაქ ბრისტენის მცხოვრებ ქალბატონს ფეხზე საპარსით მიყენებულ ჭრილობაზე წყლულის გაჩენისთვის ყურადღების მიუქცევლობა მის ამპუტაციად დაუჯდა.

43 წლის ტანია ჩერნოჟუკოვმა ფეხი იმ დროს გაიჭრა, როდესაც მას იპარსავდა. ჭრილობაში ინფექცია შეეჭრა და მალე

მის გარშემო გაჩნდა 2,5 სანტიმეტრის სიგანის წყლული. ქალს დედა ურჩევდა, ფეხი ექიმისთვის ეჩვენებინა, მაგრამ ის ამის აუცილებლობას ვერ ხედავდა.

– ერთი კვირის შემდეგ ფეხი ისე მტკიოდა, რომ იძულებული გავხდი, საავადმყოფოში მივსულიყავი, – განაცხადა ჩერნოჟუკოვმა, – იქ ხუთი დღით დამაწვინეს. ექიმებმა მითხრეს, რომ ეს წყლული იყო და ძლიერმოქმედი ანტიბიოტიკები გამომიწერეს.

მკურნალობამ ქალს ვერ უშველა.

– ორ კვირაში ფეხი ტერფიდან მუხლამდე მწვანე და შავი ფერის გამიხდა, – აცხადებს ქალბატონი. სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა, როდესაც მას დიაბეტი დაუდგინდა. მის გამო წყლული არ ხორცდებოდა და ზრდას აგრძელებდა.

საბოლოოდ ფეხზე ქსოვილებმა კვდომა დაიწყო და განგრენა განვითარდა. სპეციალისტები 18 თვის განმავლობაში ცდილობდნენ ავადმყოფობის დამარცხებას. ავადმყოფი სვამდა წამლებს, ისვამდა სამკურნალო მალამოებს, ჭიებით მკურნალობასაც მიმართა, რომლის დროსაც ჭრილობაში ცოცხალ ჭიებს სვამენ, რათა მათ მკვდარი ქსოვილები მოაშორონ, მაგრამ ყველა მცდელობა ამაო გამოდგა.

ამ ყოველივეს შემდეგ ექიმებმა ქალს ამპუტაცია ურჩიეს, ვინაიდან, მათი თქმით, წყლული კიდევ რამდენიმე წელი ან შესაძლოა საერთოდაც არ შეხორცებულიყო. ქალი ფეხის ამპუტაციას დასთანხმდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რაო, რა გირჩია ექიმმა?

– რა და ყოველდღე ძილის წინ 50 გრამი კონიაკი მიიღეო.

– მერე, რას აპირებ?

– სად მაქვს ხანგრძლივი მკურნალობის საშუალება. მთელ კურსს დღესვე ჩავიტარებ.

•••

პატრული მანქანას აჩერებს და მძღოლს მკაცრი გამომეტყველებით მიმართავს:

– რატომ არღვევთ მოძრაობის წესებს?

– კაი რა, ვითომ არ გაგიხარდათ!

•••

ორი დაქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ყველა კაცი სვამს!

– ჩემი კი საჭმელსაც ცეცხლავს.

•••

ღამის ორ საათზე ვეტერინარის ტელეფონი რეკავს:

– ალო, ვეტერინარი ხართ?

– დიახ! რამე სასწრაფოა?

– რა თქმა უნდა! აქ სახლის სახურავზე კატებს სექსი აქვთ და ისეთი აუტანელი ხმაურია, რომ ვერ ვიძინებ!

– კატას ტელეფონთან უხმეთ!

– და თქვენ ფიქრობთ, რომ ის სექსს შეწყვეტს?

– მე ხომ შევწყვიტე!

•••

– ვაშაააა! დედა ჩამოვიდააა! – სიხარულის ყიჟინით გაიქცა ეზოს ჭიშკრისკენ ბებია და გზად შვილიშვილებს გადაასწრო.

•••

ცოლი დილით ქმარს ეუბნება:

– დღეს ისევ საშინელი სიცხეა გამოცხადებული და, შენი აზრით, რას იტყვიან ჩვენი მეზობლები, თუ ჩვენს ბაღში შიშველს დამინახავენ?

– რას და იფიქრებენ, რომ ფულის გამო მოგიყვანე ცოლად.

•••

პარლამენტს წარედგინა კონსტიტუციის პროექტი, რომელიც მხოლოდ ორი პუნქტისგან შედგება:

1.არ მოკლა.

2.არ მოიპარო.

პარლამენტი შესწორებებზე მუშაობს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

მესუტ ოზილი გერმანიის ნაკრებიდან წავიდა

მესუტ ოზილმა სანაკრებო კარიერა დაასრულა. ოზილის თქმით, მას აღარ სურს გერმანიის ნაკრებში თამაში, რადგან იქ პატივს არ სცემენ და ხშირად უმიზეზოდ აკრიტიკებენ. ოზილი დარწმუნებულია, რომ ამ კრიტიკას არ იმსახურებს.

– როდესაც ვიგებთ, გერმანელი ვარ, ხოლო როცა რაღაც არ გამოგვდის, მაშინვე ემიგრანტი ვხდები. ვგრძნობ, რომ ბევრისთვის ნამდვილი გერმანელი არ ვარ, ამიტომ ჯობია, ნაკრებში აღარ ვითამაშო. ჩემთვის არ არის იოლი ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ეს ასე უნდა მომხდარიყო, – განაცხადა მესუტ ოზილმა.

მესუტს ბოლო პერიოდში განსაკუთრებით იმის გამო აკრიტიკებდნენ, რომ მან თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ ერდოღანთან ერთად სურათი გადაიღო.

გონსალო იგუაინი, შესაძლოა, მილანში გადავიდეს

ტურინის იუვენტუსის ფორვარდი გონსალო იგუაინი შესაძლოა მილანში აღმოჩნდეს, რადგან კრიშტიანუ რონალდუს ყიდვის შემდეგ სულ საუბრობენ იმაზე, რომ იგუაინი იუვენტუსიდან წავა.

მილანი იგუაინს 4-წლიან კონტრაქტს სთავაზობს და მისი წლიური ანაზღაურება 5 მილიონი ევრო იქნება. იგუაინის ტრანსფერში იუვემ თავის დროზე 90 მილიონი ევრო გადაიხადა, ამიტომ ტურინელები გონსალოს იოლად ნამდვილად არ დათმობენ.

არგენტინელი ფორვარდით ჩელსიც იყო დაინტერესებული, მაგრამ ეს ტრანსფერი არ შედგა.

ლორის კარიუსი ლივერპულიდან წასვლაზე ფიქრობს

ლივერპულის გერმანელი მეკარე ლორის კარიუსი გუნდიდან წასვლაზე ფიქრობს.

როგორც იცით, ლივერპულმა ბრაზილიელი გოლკიპერი ალისონ ბეკერი შეიძინა და, სავარაუდოდ, სწორედ ის იქნება ლივერპულის პირველი მეკარე. გარდა ამისა, კარიუსმა ლივერპულში ბევრი შეცდომა დაუშვა და მას ფანები ხშირად აკრიტიკებენ, რის გამოც კარიუსმა თავდაჯერებულობა დაკარგა.

მიუხედავად ამისა, ლივერპულის მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ ის კარიუსის გაყიდვას ჯერჯერობით არ აპირებს და პირველი მეკარე ის იქნება, ვინც უფრო სტაბილურად ითამაშებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოხსვოხდი ১



შვეულად: 1. იაპონური ჭიდაობა; 2. ლუდის დასაყენებელი ხის კასრი ხევსურეთში; 3. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 4. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 5. არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი; 6. აეროპორტი სოხუმის მახლობლად; 8. მწერების შემსწავლელი მეცნიერი; 10. ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 11. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 14. სამურაბე ლამბაქი; 15. ნიადაგის დასამუშავებელი იარაღი; 16. ვულკანიდან ამოფრქვეული სილიკატური მასა.

თარაზულად: 1. ესპანეთის პრემიერ-მინისტრი; 4. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 7. ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 9. ავსტრალიური ველური ძაღლი; 12. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 13. ხელოვნური მარმარილო; 14. ქვის, ღორღის დამაქუცმაცებელი მანქანა; 17. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 18. პიროვნული საიდუმლო ნიშნებით შედგენილი ბარათი; 19. პატარა საოქრომჭედლო გრდემლი; 20. ზღვის წვრილი თევზი, ფართო რეწვის ობიექტი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა